# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 თებერვალი 2000 №28 (1050) | ფასი 50 თეთრი

2

## რობსონი ქეცბაიას გაყიდვას არ ჩქარობს

„ნიუკასლი“ 13 ფეხბურთელს ელევა, ქეცბაიას კი არა

3

## ჯერ გაიგეთ, მერე ითამაშეთ

„დინამო“ თათრებთან დამარცხდა, „ლოკომოტივი“ კი, ღმერთმა უწყის, ვის დაუხავდა

5

## დი-ნა-მო, დი-ნა-მო...



ზაგრების „კროაციას“ ძველი სახელი დაუბრუნეს

6

## მარსელი-პსჟ: აქ მოგვარეებიც მტრები არიან



დიდი ჩხუბი ზღვისპირა ქალაქში

11

## შტეფი და ანდრე ჯვარს იწერენ

სიძე-პატარძლის მეგობრებმა გაამხილეს, რომ ანდრე აგასი და შტეფი გრაფი ამ ზაფხულს იქორწინებენ

# საფრანგეთმა იცის მონაკო არ დაითარსება



REUTERS მონაკოდან

მონაკო — ბორდო 1:0. დავიდ ტრეზეგემ ჟულიენ აფანუს (№21) და ფრანკო გრენეს ხელოვნური თამაშგარე არ შეაქმნევინა

საფრანგეთის ჩემპიონატმა ინტრიგა დაკარგა. სამშაბათს მეორეადგილოსანი პსჟ უძველეს მოშუღართან, მარსელის „ოლიმპიკთან“ დამარცხდა, მეორე დიდი ბრძოლა კი გუშინ გაიმართა: ამჟამინდელი ჩემპიონი „ბორდო“ საჩემპიონოდ გამზადებულ „მონაკოს“ შეხვდა. უშეღავათო თამაში თითქოს ნულოვანი ფრით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გოლი მაშინ გავიდა, როდესაც არავინ ელოდა. 84-ე წუთზე მონაკოელმა ჯონ რიისმა ლამის ცენტრიდან დაარტყა და გამარჯვებისა გაიტანა. ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტური დარჩა, „მონაკო“ კი უახლოეს მდევარს მთელი 13 ქულით უსწრებს. ამ პატარა სამთავროს კლუბისთვის ეს რიცხვი თარსი არ უნდა იყოს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# ბათუმი სამ ტაიმშიც მესამეა

იტალიურ დაბა ნორჩაში დამთავრებულ 20 გუნდიან ტურნირში „ბათუმს“ ხელი მოეცარა — რუმინული „სტიაუას“, „რეშიცას“ და იტალიური „არეცოს“ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. „ზამთრის თასი“ ქართველთათვის ამით მორჩა. თუმცა, ბათუმელთა იტალიელ მწვრთნელს ჯანი კარნევალეს საქართველოში დაბრუნება არ უჩქარია. რუმინულ „რაპიდთან“ და „ბრაშოვთან“ ერთად, მეზობელ ქალაქ სპოლეტოს „სტადიო კომუნალეზე“ ერთობ უჩვეულო, ერთდღიან ტურნირში ათამაშა ქართველი შეგირდები. ამ სამ გუნდს თითო ტაიმის თამაშმა მოუწიათ.

თავიდან ჩვენებურები „რაპიდს“ შეხვდნენ და 0:2 დამარცხდნენ. 32-ე წუთზე ანგარიში რუმინეთის ნაკრების წევრმა, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგაც ნათამაშევმა და გოლის გამტანმა მუგურ ბოლოჰანმა გახსნა. მან ბათუმელებს დაახლოებით 20 მეტრიდან დაურტყა. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე კი ნიკოლაე კონსტანტინმა მეორე ბურთი გაიტანა.

ამის მერე რუმინელები ერთმანეთს გაეჯიბრნენ და უგოლო ფრეს დასჯერდნენ. ბოლოს კი „ბრაშოვმა“ და „ბათუმმაც“ 0:0 ითამაშეს.

საბოლოოდ უცნაურ მინიტურნირში გოლის გამტანმა ერთადერთმა გუნდმა „რაპიდმა“ გაიმარჯვა, რომლის ფეხბურთელთა უმრავლესობაც კვიპროსზე თამაშობდა. „ბათუმი“ კი მესამე გამოდგა.

ბათუმელები გუშინ ნორჩადან შინ გამოემგზავრნენ.

ქობა ინასარიძე



მამუკა ფარჯიანის ფოტო

სინიორ 0:0 — ჯანი კარნევალე

# გრიპი საშინელი ვირუსია

## უებარი რეცეპტი მსაჯებს — ცხელი ჩაი



ბადრი კეთილაძის ფოტო

ანატოლი მილჩენკო

გრიპი ყველას ღმერთმა გვაშოროს, აბა, ამაზე წერა რა სასიამოვნოა, მაგრამ ხანდახან ასეც ხდება და ამიტომ გრიპშეყრილ, ან ამ ჩვენში მოდებული ვირუსის შეყრის საშიშროების წინაშე მდგომ მკითხველს ბოდიშს მოვუხდი უსიამოვნო განცდების გაღვიძებისთვის.

საქმე ისაა, რომ სამი დღეა ქართველ მსაჯთა კოჰორტა დიღუბეში, სასტუმრო „შევარდენშია" დაბანაკებული. გრიპი რა შუაშიაო, იკითხავთ. შუაში კი არა, თავშია. მსაჯები „შევარდენში" შეკრების მიზნით გამაგრდნენ, რათა გენერალური რეპეტიცია გაევლოთ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყების წინ. სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ტესტირება-ატესტაციის წინ მსაჯებს დიღუბეში უხმო, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს — შავოსნები არასრული შემადგენლობით ეწვივნენ „შევარდენს"... ამ დღეებში მილჩენკოს ხელში ექიმის ბეჭდით დამოწმებულმა ბევრმა ცნობამ გაიარა — ზაზა მენთეშაშვილს, ალექსანდრე შილაკაძეს, ალექსანდრე მეშკოვს... ყველას გრიპი შეჰყრია და ამიტომაც გამოჰკლებიან რუდუნებით მოწყობილ შეკრებას. ჩვენს გამოცდილ მსაჯს სერგო კვარაცხელიას სულაც მოსკოვიდან (ბატონი სერგო ესენგეს თასის მატჩებს სჯიდა) ჩამოჰყოლია საშინელი ვირუსი და გაწამებულა კაცი. სხვადასხვა მიზეზებით მსაჯებს ოთარ გუნთაძე, ალექსანდრე კრიჭაშვილი და მერაბ მალაღურაძეც გამოაკლდნენ. ანატოლი მილჩენკო კი ერთობ შეფიქრიანებულია, აქ ყველანი გრიპის ზღვარზე ვდგავართ და ლამისაა კარანტინიც გამოვაცხადოო, მაგრამ მილჩენკოს ბრძოლისუნარიანობა და მიზანდასახულობა ბევრისთვის ცნობილია და მსაჯთა თავკაციც არ ეპუება უნებლიედ წარმოქმნილ საშიშროებას — წამლებს ვსვამთ, უებარი საშუალებაა ცხელი ჩაიც და როგორღაც გავდივართ ფონსო — გვითხრა მოლჩენკომ. ბატონი ანატოლი იმასაც იმედოვნებს, შეკრების ბოლომდე ავადმყოფები ფეხზე წამოდგებიან და შემოგვიერთდებიანო.

არასრული შემადგენლობით დაწყებულ შეკრებაზე კი მსაჯთა კომიტეტის თავკაცი ასეთი აზრისაა: „მიუხედავად ხელისშემშლელი მიზეზებისა, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან უკლებლივ ყველამ სანიმუშოდ გაიარა წინასწარი ტესტირება. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდა მსაჯებმა — მესხმა, ჩიგოგიძემ, ბრეგვაძემ, ხეცაძემ, ნონიკაშვილმა, ელისაბედაშვილმა. ტრადიციულად კარგად წარმოაჩინა თავი ქუთაისურმა ბრიგადამაც, იყოჩაღეს დანარჩენებმაც, მაგრამ მთავარი მაინც წინ არის. 26 თებერვალს მსაჯებს გენერალური ტესტირება ჩაუტარდებათ და იქ გამოჩნდება მათი ვაჟკაცობა. მჯერა, თავს არავინ შეირცხვენს, ავადმყოფები კი დროზე უნდა გამოჯანმრთელდნენ, რადგან ვინც 26 თებერვალს ტესტირებას არ გაივლის, ლიცენზიის გარეშე დარჩება. თუ სამწუხაროდ ავადმყოფობის გამო კვლავ გამოგვაკლდა ვინმე, მათ ექიმის მიერ დადასტურებული ცნობები დასჭირდებათ."

მსაჯების ლიცენზირება 27 თებერვალს მოხდება, მანამდე კი ქართველი შავოსნები საფეხბურთო მატჩში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. „სარბიელმა" ადრეც გამცნოთ, რომ ანატოლი მილჩენკოს, საქართველოში მსაჯთა ხაფეხბურთო ნაკრების ჩამოყალიბება განუზრახავს. ჰოდა, 20 თებერვალს აღმოსავლეთელი მსაჯები ლიხსიქითელებს დაუპირისპირდებიან. აღმოსავლეთს ნიკა ამირეჯიბი უთავკაცებს, დასავლეთს კი ადიკ დურსუნიში განაწყობს სათამაშოდ. ასე რომ, უკან დაიხიე, გრიპო!

**პაატა ქვანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

გრიპის ვირუსმა მსაჯები დააფინა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ცქიტიშვილი და ლევან კობიაშვილი

*ორ გასვლით მატჩში დამარცხებამ ბუნდესლიგაში მოასპარეზე ქართველების გუნდი „ფრაიბურგი" სახიფათოდ მიუახლოვა გასავარდნთა ზონას. წარუმატებლობები პირველი წრის შუაგულიდან მოუხშირდათ ფრაიბურგელებს, თორემ მანამდე ლიდერთა შორისაც კი იმყოფებოდნენ. აფრიკის თასის გათამაშებამ ორიოდე ტუნისელი ფეხბურთელიც გამოაკლო ფოლკერ ფინკეს საწმყსოს და ბუნებრივია, ამანაც დაამძიმა სიტუაცია. ამ და სხვა ამბებზე ლევან კობიაშვილს ველაპარაკეთ, რომელსაც შინ ფრაიბურგში დავუკავშირდით.*

# ფრაიბურგი არ გავარდება

— მიმდინარე ამბებით ყველანი შეშფოთებული ვართ — მწვრთნელიც, ხელმძღვანელებიც, მოთამაშეებიც. ამ ორმა წაგებამ მეტად და მეტად გაგვირთულა საქმე, მაგრამ დაკარგული ქულების მიუხედავად, ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებთ და მომდევნო ტურიდანვე შევეცდებით სიტუაციისა და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას.

**— ფინკეს რა რეაქცია ჰქონდა ამ ყველაფერზე?**

— საკმაოდ ნორმალური. მწვრთნელია და გაგებით შეხვდა ორ გასვლით შეხვედრაში გუნდის დამარცხებას. ფეხბურთელებთან რაიმე კონკრეტული საუბარი არ ჰქონია ფინკეს. ჩვეული რიტმით აგრძელებს საწვრთნელ პროცესს და მომავალი მატჩისთვის გვაგულიანებს.

**— მაყურებლისგან ხომ არაფერი გიგრძვნიათ?**

— ფრაიუბურგში ამგვარი რამ, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე. მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ გუნდს წაეგოს და მერე სტადიონზე ხალხი არ მოსულიყოს. დარწმუნებული ვარ, შაბათის მატჩზეც სავსე ტრიბუნების წინ მოგვიხდება თამაში და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ისინი არ გავაწბილოთ.

**— აფრიკელები თუ დაგიბრუნდნენ?**

— კი, ტუნისელები გუშინ საღამოს ჩამოვიდნენ ფრაიბურგში და უკვე შეუერთდნენ გუნდს. ჩვენი წარუმატებელი თამაშის მიზეზი მოთამაშეთა ტრავმებთან ერთად აფრიკის თასზე თანაგუნდელების მონაწილეობაც გახლდათ — ძნელია, როცა შეთამაშებული შემადგენლობა რაიმე მიზეზის გამო აირევა. ფინკე აფრიკის თასმაც დააყენა გარკვეული სიძნელეების წინაშე.

**— ჩვენებურებზეც გვითხარით...**

— ცქიტიშვილი ჯერაც ვერ ვარჯიშობს ჩვენთან ერთად — მას ფეხის ოპერაციის გამო გვარიანი ხნით მოუწევს ფეხბურთისგან ჩამოშორება. ის კი არა, ჯერ სარეაბილიტაციო ვადაც არ დამთავრებია და ვარჯიშს ვინ დაეძებს, ექიმებს ძუნძულის უფლებაც არ მიუციათ. იმედი ვიქონიოთ, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი კარგად იქნება და ცქიტიშვილი გუნდს დაუბრუნდება. რაც შეეხება იაშვილს, იგი ნელა იბრუნებს ძველ, ჩვეულ ფორმას.

**— ამ ბოლოს იაშვილის თამაშს არცთუ მაღალ შეფასებებს აძლევენ ჩვენი გერმანელი კოლეგები, ხომ არ უჭირს „იაშკას"?**

— ბუნებრივია, რომ უჭირს. ამხელა ოპერაციის შემდეგ უცბად ფორმის აღდგენა ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მაგრამ იაშკას პროგრესიც აშკარაა და ის მალე ძველებურად დაიწყებს თამაშს — ამაში დარწმუნებული იყავით.

**— გუნდის მესვეურები რას აპირებენ, შედეგებიდან გამომდინარე, რაიმე ახალ ტრანსფერს ხომ არ გეგმავენ?**

— არა, არა მგონია, გუნდში ამ მხრივ სიმშვიდეა და ფიქრობენ, რომ არსებული შემადგენლობითაც შევძლებთ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს გახდა „ფრაიბურგის" მთავარი ამოცანა.

**— არადა, სეზონის წინ სხვა გეგმები გქონდათ...**

— ჩვენზე რაც არის დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. სეზონის დასაწყისში კი გვსურდა მაღალი შედეგისთვის ბრძოლა, მაგრამ წამყვან მოთამაშეთა ტრავმებმა არ მოგვცეს ამის გაკეთების საშუალება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# რობსონი ქეცბაიას გაყიდვას არ ჩქარობს

გუშინ ბობი რობსონმა უარყო ხმები, თითქოს თემურ ქეცბაიასთვის ახალი კლუბის მოძებნის უფლება მიეცეს. „მართალია, ქართველმა ძირითადში ადგილი დაკარგა, მაგრამ მის გაყიდვას არ ვჩქარობ. ამაზე არც მიფიქრია" — განაცხადა „ნიუკასლის" მენეჯერმა.

ამის დასადასტურებლად გუშინვე რობსონმა გამოაქვეყნა 13 კაცის სია, რომლებსაც კლუბი ტრანსფერზე აყენებს. ქეცბაია, მათ შორის არ არის.

სიაში კი რობსონმა ეს ფეხბურთელები შეიყვანა: სილვიო მარიჩი, სტეფან გლასი, ჯონ კარელსე, ლიონელ პერესი, იან მარტინი, კარლ სერანტი, დერ ჰამილტონი, ჯეიმს კოპინგერი, სტეფან კალდუელი, პოლ არნისონი, სტიუარტ ელიოტი და გარი ბრედი.

რობსონმა ჯერჯერობით გალაჰერის გაყიდვაც გადაიფიქრა.

ქეცბაიას გადასაბირებლად კი ძველებურად მხოლოდ იოჰან ბოსკამპის „გენკი" აქტიურობს.

**სიმონ მენაბდე**

# არსენალი: ყოფნა-არყოფნა ჯერაც საკითხავია

თბილისის „არსენალში" იანვრის ბოლოს დიდი ცვლილებები მოხდა. კლუბს მწვრთნელები შეეცვალა. მამუკა გეგეჭკორისა და მერაბ თევზაძის ნაცვლად გუნდში ჯონი ჯანელიძე და ახლო წარსულში ცნობილი მსაჯი, მალხაზ კობიაშვილი მივიდნენ. მივიდნენ და თითქოს საქმესაც შეუდგნენ, თუმცა...

ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით ისიც არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა გუნდში მუშაობასო, ეს ჯონი ჯანელიძემ იანვარში, კლუბის მთავარ მწვრთნელად დანიშვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ გვითხრა.

ალბათ იკითხავთ, რა აბრკოლებსო?

გეცოდინებათ, თითქმის მთელი პირველი ეტაპი „არსენალი" უპატრონოდ იყო მიტოვებული. კლუბის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა უარი თქვეს გუნდის რჩენაზე. რაც გინდათ, ის გიქნიათო, შეუთვალეს არსენალელებს. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა პირველი ეტაპი ჩაამთავრეს.

ცოტა ხნის წინ კი კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯონი ფირცხალაიშვილმა დაბრუნება გადაწყვიტა. როგორც შევიტყვეთ, ერთ, ჩვენთვის ჯერ უცნობ პიროვნებას „არსენალის" პატრონობის სურვილი გამოუთქვამს, ფირცხალაიშვილსაც ამან გადააწყვეტინა დაბრუნება. პრეზიდენტის მოსვლას კი მწვრთნელების წასვლა, უფრო სწორად შეცვლა მოჰყვა, მაგრამ...

„არსენალის" ბედი კვლავაც უცნობი ყოფილა. კლუბი არსებობა-არარსებობის წინაშე დგას. მიზეზი? ამ ჩვენთვის ჯერაც უცნობ პიროვნებას საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, მოვიდეს თუ არა ქართულ ფეხბურთში. როგორც შევიტყვეთ, ყველაფერი დღეს ან ხვალ უნდა გაირკვეს.

ერთი სიტყვით, „არსენალის" ყოფნა-არყოფნა ერთი პიროვნების გადასაწყვეტია. ვნახოთ, რა იქნება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ანჟიში ხუთი ქართველია

მახაჩკალის „ანჟიმ", რომელიც რუსეთის უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტია, მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა თურქეთში და კვლავ წააგო, ამჯერად რუმინეთის „სპორტულთან" — 1:2. „ანჟიში" კვლავ ითამაშა ლევან მიქაძემ, რომელზეც რუსულმა მედიამ გუშინ დაწერა, გუნდიდან გაუშვესო. მიქაძესთან ერთად მოედანზე იყვნენ დავითნიძე, გოგობერიშვილი და სოსო გიგიაძე. სოსოს ტყუპისცალი მინდორზე არ გამოჩენილა. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინ თურქეთში მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯია" „სპორტულს" მეორე შემადგენლობით 1:1 დაუზავდა.

**სიმონ მენაბდე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარასელიას პასმა ჯანაშია გაამწარა



ზაზა ჯანაშია და გიორგი დარასელია (№18)

ისრაელში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" გუშინწინ ქვარ სავაში 150 მაყურებლის თვალწინ წააგო ადგილობრივ „ჰაპოელთან". ქართული დერბი ებრაელთა მიწაზე საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდში ჩვენი თანამემამულეეები გამოირჩეოდნენ.

მოსკოველთაგან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ზაზა ჯანაშიამ. ქართველს უკვე მე-3 წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა ბურთი კარს გადააცილა. მე-10 წუთზე ზაზამ ხარლაჩოვი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ „ჰაპოელი" კვლავ გადარჩა. ჯანაშია მეორე ტაიმშიც არ დაწყნარებულა. მას სამჯერ მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ებრაელთა მეკარემ ივარგა.

„ლოკომოტივმა" რომ ვერ გაიტანა, დაისაჯა. გიორგი დარასელიამ მშვენიერი პასი მიაწოდა კოვახის, მეკარე პოლიაკოვი კარიდან უშნოდ გამოვიდა და „ჰაპოელის" თავდამსხმელმაც გამარჯვების გოლი შეაგდო. „ლოკომოტივი" მორიგ საკონტროლო მატჩს კიშინიოვის „ზიმბრუსთან" გამართავს.

სიმონ მენაბდე

# აშვეთიამ და წერეთელმა ბელგრადი დალაშქრეს

კვიპროსში ხელმეორედ ჩასულმა ვლადიკავკაზის „ალანიამ" ამჯერად იუგოსლავიის პირველი ლიგის გუნდს, კრაბურმას „ბელგრადს" 2:1 მოუგო. არადა, „ალანიას" მეტოქე უნგრული „უიპეშტი" უნდა ყოფილიყო, თუმცა სტადიონზე მისულებს იუგოსლაველები დახვდნენ.

გუცაევმა „ალანია" ასეთი შემადგენლობით ათამაშა: გუდიევი, ლეანი, სილაგაძე, წერეთელი, ალჩაგიროვი, ტარლოვსკი, კიკნაძე, თედეევი, ბოციევი, აშვეთია. ვლადიკავკაზელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ მცველ ლეანს, რომელიც 190 სმ სიმაღლის ყოფილა და გუცაევზე კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია.

39-ე წუთზე სწორედ ლეანმა მიაწოდა საგოლე პასი მიხეილ აშვეთიას და ქართველმა ფორვარდმაც ულამაზესი მაკრატელათი გაგზავნა ბურთი „ბელგრადის" კარში — 1:0. მეორე ტაიმის შუაწელში „ბელგრადმა" მეკარე გუდიევის არასტაბილური თამაშით ისარგებლა და ანგარიში გაქვითა. ამ დროს კიკნაძე აფხაზმა კუტარბამ შეცვალა. გამარჯვების გოლი კი „ალანიამ" 85-ე წუთზე გაიტანა — სტანდარტული გათამაშების შემდეგ კართან წერეთელმა იმარჯვა. დღეს „ალანია" რუმინეთის „ოცელულს" შეხვდება.

სიმონ მენაბდე

# ჯერ გაიგეთ, მერე ითამაშეთ

გუშინ, თბილისის „ლოკომოტივმა" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა — ქართველებმა რუმინეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან ფრედ, 0:0 ითამაშეს.

ჩვენ კი ვეცადეთ, კვიპროსზე ლოკომოტიველთა მესამე მეტოქის დადგენა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, კუნძულზე მყოფ ჩვენებურთაგან, მიახლოებითაც ვერავინ გვითხრა კლუბის სახელწოდება — არ ვიცით, თითოეულ სასტუმროში რამდენიმე გუნდია დაბინავებული, ველარც კი ვარჩევთ რომელი ქვეყნებიდან არიან. მოდიან, ამხანაგურ თამაშზე გვითანხმდებიან, ჩვენც არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო — ასეთია „ლოკომოტივის" მესვეურთა პასუხი.

გუშინწინ კი თქვეს, 16 თებერვალს ერთ-ერთ უნგრულ გუნდს ვეთამაშებითო, მაგრამ მეტოქე გუნდის ვინაობა ვერ დაგვისახელეს. აღმოჩნდა, რომ თბილისელები რუმინელებს ხვდებოდნენ.

ერთი სიტყვით, თვით „ლოკომოტივმა" არ იცის, ვის ეთამაშება და... შემადგენლობა ასეთი ყოფილა: ნიკურაძე, კაციაშვილი, ონიანი, ბაქრაძე, გილაური; გოლეთიანი, ჭიჭვეიშვილი (არეშიძე), მორჩილაძე (აბრამიძე), გულორდავა, გ. გვაზავა (ხუროძე), გოდერძიშვილი.

გუშინვე ყაზანის „რუბინთან" 2:3 წააგო „დინამომ", რომელმაც ორი შემადგენლობით ითამაშა. პირველი ტაიმი ასე დაიწყეს და 0:2 წააგეს: ა. ჩიხრაძემ, ზამთარაძე, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ო. გველესიანი, ჯინჭარაძე, ქემოკლიძე, შენგელია, კერძევაძე, გონჩაროვი, გ. მიქაძე. მეორე ტაიმი კი 2:1 ამ შემადგენლობით მოიგეს: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, დიდავა, ვაშაკიძე, გუჩუა, რუხაძე, რ. არველაძე, ანჩაბაძე, ა. სახვაძე, წიტაიშვილი, დათუაძე.

კობა ინასარიძე

# დილას დუეტი დაუბრუნდა



რამაზ სოლოლაშვილი

გორის „დილას" ამ დღეებში ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი დაუბრუნდა — მეკარე რამაზ სოლოლაშვილი და ნახევარმცველი ქრისტეფორე შატაკიშვილი. ისინი ბოლო დროს კლუბში აღარ ვარჯიშობდნენ.

სოლოლაშვილი და შატაკიშვილი ტოლიატის „ლადამ" მიიწვია გასასინჯად. ვერ გეტყვით, დაბრუნდებიან თუ არა გუნდში. ალბათ უფრო რუსეთში გააგრძელებენ კარიერასო, ეს სიტყვები „დილას" მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა თებერვლის დასაწყისში გვითხრა, როცა გორელები თბილისის სპორტის სასახლეში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე გამოდიოდნენ.

გუშინწინ „დილა" თბილისს კვლავ ეწვია. გორელებმა „სინათლეზე" „მერანთან" საკონტროლო მატჩი გამართეს. სტუმართა შორის რამაზ სოლოლაშვილსაც მოვკარით თვალი.

„მართალია, ხმები გავრცელდა, თითქოს ჩვენ ტოლიატიში ვისინჯებოდით, მაგრამ საქართველოდან საერთოდ არც გავმგზავრებულვართ. „ლადა" რეალურ წინადადებას გვთავაზობდა. გუნდი თებერვლის დასაწყისში კისლოვოდსკში იმყოფებოდა შეკრებაზე, ჩვენც იქ უნდა შევერთებოდით, მაგრამ იმ დროს დიდთოვლობის გამო გზები გადაიკეტა, თანაც მაინცდამაინც არც რუსების პირობებმა მოგვხიბლა. ამიტომ წასვლა გადავიფიქრეთ. ამ დროს გუნდი უკვე თბილისში იმყოფებოდა ტურნირში სათამაშოდ. არც მწვრთნელებმა და არც ფეხბურთელებმა არ იცოდნენ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, ამიტომაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჩვენ „ლადაში" ვვარჯიშობდით" — გაგვარკვია სიტუაციაში სოლოლაშვილმა, რომელსაც გორის „დილას" გარდა ზუგდიდის „ოდიშისა" და ქვეყნის უძლიერეს კლუბ თბილისის „დინამოშიც" უთამაშია.

სოლოლაშვილი უკვე „დილაში" ვარჯიშობს. რაც შეეხება შატაკიშვილს, იგი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩამოჰყვა გუნდს „მერანთან" მატჩზე. ქიტესა სულ მალე შემოგვიერთდებაო, გვითხრა კოჭლაშვილმა.

ასე რომ, „დილამ" ის ფეხბურთელები დაიბრუნა, რომლებიც გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.

ვანო ოქროპირიძე

# დიალოგი აქტუალურ თემაზე





იოჰან ბოსკამპი

დანიშნეს ხომ? ველოდი, ველოდი და არ გამკვირვებია შენი ნათქვამი, ბიძიკო, არც ისეა საქმე, ჩვენში წყალს რომ გაატანეს ეგ კაცი. ხომ გაგიგია — აქლემი ისე არ დავარდება, ვირის ჭაპანი ვერ ზიდოსო და „ანდერლეხტის" მთავარ მწვრთნელად ნამუშევარი კაცი დაჩაჩანაკებული თბილისის „დინამოს" თავკაცობას ვერ გაუძლვებოდა?

შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს ახლა ამ წასულ ამბავზე ლაპარაკი, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, ძმაო და შვილო, სწორად, მართლად და ვინც დღემდე ფიქრობს, ის ხარხარა ჰოლანდიელი უვიცი და უტუ კაცი იყოო, ბელგიელების საქციელმა მაინც უნდა დააფიქროს პატარა.

აგერ, თუ დარჩა უმუშევარი, ახლა მთლად ლიდერი გუნდი არ ჩაუბარებიათ, მაგრამ წყალწაღებულსაც ვერ დაარქმევ იმ „გენკია" თუ რაღაცას...

ჭკუის სასწავლად გამოგვადგება ეს მაგალითიც, ბიძიკო. ამაზე ადრეც ბევრი გვილაპარაკია და ერთჯერაც გაგიმხელ გულისტკივილს — დალოცვილო, ფულს თუ იხდი და უცხოელი მოგყავს, ბრმად ნუ გათვლი საქმე-საკეთებელს, ჯერ გაიგე ვისთან გაქვს საქმე, რა შეუძლია, რას გიპირებს, მერე ათქმევინე რა და როგორა აქვს ჩაფიქრებული და ბოლოს დროც მიეცი — იმდენი რამდენიც ჩანაფიქრის ასასრულებლად სჭირდება.

სული ყელში გვაქვს ჩვენ, ვერ ვითმენთ, უცებ გვინდა სოფლის აშენება. ხან ალთას მივახტებით, ხან ბალთას და მოჩქარეს მოუგვიანდესო, ე, ზუსტად ის გვემართება. მე მართალ კაცს მეძახიან, ბიძია, და ამ სიმართლის გამოა, ახლა დროს რომ გაკარგვინებ. უნდა ვაღიაროთ ყველამ — მეც, შენც, დიდმაც, პატარამაც, რომ ტყუილად შევიტანეთ იმ კაცის ცოდნაში ეჭვი, ტყუილად ვაგინეთ და ვაფურთხეთ, არ იყო მარტო მისი ბრალი ჩვენი ფეხბურთის ცუდი ამბავი...

და იმ მოკიჟინეების გასაგონად ესეც უნდა ვილაპარაკოთ ყველგან, სადაც კი ენა მიგვიწვდება — ხომ ხედავთ, მთლად სულელი არ ყოფილა ის ჩვენი დაწუნებული კაცი. ვფიქრობდი და მჯეროდა მე, არავინ დატოვებდა მაგას უმუშევრად და აგერ, თუ არ ამიხდა ჩანაფიქრი.

ახლა ისე ნუ იფიქრებ, ძმიშვილო, ვითომ ღამე არ მძინებოდეს იმ ჭიხვინა კაცის საცოდაობით, მაგრამ წიხლისთვის და ჩასაქოლად ყველა კაცი მეცოდება — გინდა შინაური იყოს, გინდა გარეული, რა მნიშვნელობა აქვს ვის წიხლავენ და ქოლავენ — ჰოლანდიელს თუ სპილოს ძვლის ნაპირელს.

რაო, წააგოო? რამდენი, 0:5? მერე რა გიხარია, ბიძიკო. სასაცილოა ეგ? არა, რატომ იცინი, ალალად მითხარი... ეგ ნორმალური ამბავია — ახალი მწვრთნელი გუნდში რომ მიდის ან ძალიან კარგად თამაშობს გუნდი ან ძალიან ცუდად, ეს იმაზეა დამოკიდებული წინა და ახალი თავკაცი რამდენად ეხამებიან ერთმანეთს. ეს ჩვენი ჰოლანდიელი ცოტა შეტევის მოყვარული კაცია და ეტყობა დაიჭირეს ყურებით. მეორე თამაშს სხვანაირად ითამაშებს მისი გუნდი, აგერ ნახავ თუ არა.

ისე, ბიძიკო, შენც მართალი ხარ. წელანდელ სიცილზე გეუბნები — რა ჩვენი საქმეა ის ბელგიური კლუბი რას და როგორ იზამს, თავში ქვა უხლიათ და უნდა მოუგიათ, უნდა წაუგიათ — ეს ჩვენ არ გვეხება. ჩემთვის მთავარი რა არის იცი? ეგება ერთი-ორი ახალი ლეგიონერი გაგვიჩნდეს მაგ მაძღარ ქვეყანაში. გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ბიჭები მაინც გარბიან ჩვენი ფეხბურთიდან და უკრაინის და რუსეთის ლიგებში თამაშს, ისევ ბელგია სჯობს. არ უნდა ამას კამათი, თქვა ხომ უკვე ქართველებზე? იტყოდა, ძმიშვილო, იტყოდა, არც ასე წყალწაღებულები ვართ, ერთი-ორი საბელგიისჩემპიონატო ფეხბურთელი ვერ ამოირჩეს ჩვენს ნაკრებში და ესეც საქმეა, შენ ნუ მომიკვდები.

ახლა ხშირად იციან თქმა, ფეხბურთი პროცესიაო და მაგ მყვირალა კაცის ჩვენში ჩამოყვანის საქმესაც თუ შევხედავთ, პროცესი გამოდგა ეგეც — ვითომ წავიდა, მოვამთავრეთ მაგ კაცთან ყველაფერი, მაგრამ აგერ თუ არ გრძელდება ურთიერთობა, ნახა, შეაფასა ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობები და სადმე აფრიკაში და ზანზიბარში კი აღარ იყურება, აგერ ჩვენთან ეძებს მოთამაშეებს. დიაკვანმა ულელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო, ასე მოუვიდა ჩვენ ფეხბურთს, არც კი გვიფიქრია, ისე დავიჭირეთ ხვითო.

ეს ამბავი ცოტათი ლატვიის ნაკრების ამბებსაც მაგონებს, ბიძიკო. ძოძუაშვილმა რაც მაგათ გაუკეთა, მამა შვილს ვერ უკეთებს ზოგჯერ, მაგრამ ადგნენ და მაინც შეცვალეს. რაო, რა გგონია, ძმიშვილო, ის ჯონსონი ბევრად სჯობს ჩვენებურს? არ დაიჯერო! მაგრამ საქმე რაშია, იცი? ინგლისურ ლიგებში გზა გაიხსნეს ლატვიელებმა იმ კაცთან დამოყვრებით — ესაა და ეს. ლატვიის ნაკრებს ძოძუაშვილი და ჯონსონი კი არა, ემე ჟაკე რომ დაუყენო მწვრთნელად, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერაფრით მოხვდება და ეს ყველაზე კარგად თვითონ იციან ბალტიელებმა. ამიტომ ჩამოიყვანეს ბრიტანელი და ამით პროცესი გათვალეს. ახლა შეგიძლია დარწმუნებული იყო, ბიძიკო, თუკი ვინმე ნორმალური გამოჩნდება ლატვიაში, ყველა ბრიტანეთში ითამაშებს. უკვე თამაშობენ, ხომ? ჰოდა, მეც მაგას არ ვამბობ?

ასე მოგვივა ჩვენც, ბიძიკო. ახალი არხი გაუჩნდა ჩვენს ფეხბურთს და საქმეა ესეც.

კონსტანტინე გოგიშვილი

# ისრაელი თუ ყირიმი?

## მეტრეველის ბედი ფედორენკოზე ჰკიდია

*ან უკვე ყოფილი ტორპედოელი კონსტანტინე მეტრეველი, რომელიც, მოგეხსენებათ, შემოდგომაზე „იბერიაში“ იყო განათხოვრებული, დეკემბერში საბოლოოდ და, თანაც უტრანსფეროდ, გათავისუფლდა ქუთაისური კლუბიდან, ახლა უკრაინაში იმყოფება და იქაურ უმაღლესლიგელ დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ ისინჯება.*

*კოტე „დნეპრის“ სანვრთნელ ბაზაზე მოვიკითხეთ და სატელეფონო საუბრისას ჩვენთვის საინტერესო ამბებიც შევიტყვეთ.*

**— ჯერ ეს გვითხარი, „დნეპრში“ როგორ აღმოჩნდი?**

— თვენახევრის წინ „დნეპრის“ გენერალური დირექტორის ალექსანდრე სტეცენკოსგან მოწვევა მივიღე, გასინჯვაზე ჩამოდიო. მეც დავინტერესდი წინადადებით და 21 იანვარს უკრაინას გავემგზავრე. დნეპროპეტროვსკში რომ ჩავედი, გუნდის ძირითადი შემადგენლობა ისრაელში სამკვირიან შეკრებაზე წასასვლელად იყო აბარგებული. „დნეპრის“ მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი ფედორენკომ მირჩია, მოდი ახლა მეორე შემადგენლობას გაჰყევი ალუშტაში, იქ მოემზადე და ისრაელიდან რომ დავბრუნდებით, მერე უფრო შევაფასებ შენს ოსტატობასო.

**— დათანხმდი?**

— კი. ჩემთვის ეს ვარიანტი უფრო მომგებიანიც იყო, რადგან მოუმზადებელი ვიყავი და ძირითად გუნდში მწვრთნელს უცბად თავს ვერ მოვაწონებდი. სხვათა შორის, ალუშტაში ძალიან კარგ პირობებში ვიყავით. წვრთნაც ნორმალურად მიდიოდა. ფედორენკოს თანაშემწე პეტრე კუტუზოვს აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე ჰქონდა გადატანილი, ამიტომაც მხოლოდ ერთი საკონტროლო თამაში გავმართეთ. იმ თამაშში ერთი ბურთი გავიტანე. რა ვიცი, კუტუზოვმა ბევრჯერ შემაქო, მაგრამ მთავარი სიტყვა მაინც ფედორენკომ უნდა თქვას.

**— ალუშტიდან როდის დაბრუნდით?**

— 14 თებერვალს. პირველი გუნდიც ჩამოსული დაგვიხვდა. ფეხბურთელები სამი დღით დაასვენეს. ახლა ბაზაზე, ფაქტობრივად, მარტო ვარ.

**— ფედორენკოს თუ შეხვდი ხელმეორედ?**

— ჯერ არა, ბაზაზე არ გამოჩენილა, მაგრამ დღეს ან ხვალ აუცილებლად გვექნება საუბარი.

**— როგორ ფიქრობ, დაგიტოვებს გუნდში?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. იმედი მაქვს კუტუზოვი „მთავარს“ სწორ ინფორმაციას მიაწვდის. „დნეპრის“ ძირითადი 20 თებერვალს მეორედ მიემგზავრება ისრაელში, მეორე შემადგენლობაც ისევ ყირიმში გააგრძელებს მზადებას, თანაც სოლიდურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ფედორენკო. ალუშტაშიც რომ მომიწიოს გამგზავრება, არ მეწყინება. ვატყობ, თანდათან შევდივარ ფორმაში და მწვრთნელებს სულ მალე დავარწმუნებ ჩემს შესაძლებლობებში.

**— მაშ, წარმატებებს გისურვებ. კიდევ შეგეხმიანებით.**

— მადლობელი ვარ მოკითხვისთვის.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**



მამუკა დარჩიას ფოტო

კოტე მეტრეველი (№20) „ტორპედოში“ თამაშისას

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3 |
| **დინამო** *თამარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქაშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგდინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიში ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დავითნიძე (ანჟი, რუსეთი), დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ქოხონელიძე (დილა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეველი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უჯაკჯე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბაჰჩე (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0 |
| **დილა** *მერაბ კოჭლამაზიშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა) | საყვარელიძე (დილას სკოლა), ქოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 2:0, 0:1, მერანი 0:0, 0:5 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), *ქეშაძე (ირაკლისი, საბერძნეთი)*, *ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი)*, დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ქიქვიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე, გულორდავა (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, სკა (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), ბურნაძე, შ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1, 0:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), *ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი)*, გ. გვაზავა (ლოკომოტივი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ქაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), კობრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ლედუშაური (არ თამაშობდა) | დილა 0:1 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კობრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა *(ზიმბრუ, მოლდოვა)*, ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კეკკესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**



ორშაბათი. ხელმოტეხილი პოლ გესქოინი

# ნამდვილი შერეკილი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

თანამედროვე ბრიტანული ფეხბურთის მთავარმა იმედგაცრუებამ, პოლ გესქოინმა, როგორც ჩანს, თვითგანადგურების ღილაკს ერთხელაც დააჭირა ხელი. თავის დროზე უდიადესმა ჭაბუკმა, საუკეთესო 20, 21, 22 წლისამ, აგერ 32 წელს მიაღწია და ერთობ სევდიანი გზაც განვლო თუ ჩაამთავრა.

ორშაბათს გესქოინმა ჩვეულებრივსამებრ მარცხენა მკლავი მოუქნია მოწინააღმდეგის, მაგრამ კედელსავით თავს მირტყმული მკლავი გატყდა, მოწინააღმდეგე, „ასტონ ვილას" მცველი ჯორჯ ბოატენგი კი მხოლოდ ცოტა ხნით ჩაიკეცა, მაგრამ ტკივილს სძლია.

გესქოინის ხელიდან ტვინამდე ტკივილი წამში ავარდა. ფეხბურთელს სახე დაემანჭა და თვალებიდან ცრემლმა იფეთქა.

ისტორია თითქოს განმეორდა: 1991 წლის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი, სხვა კლუბი, მაგრამ იგივე ფეხბურთელი და ყველაფერი იგივე.

ეპიზოდი, რომელმაც გესქოინის ცხოვრება შეცვალა, მაშინ, „ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და „ნოტინგემ ფორესტის" შეხვედრის პირველ ტაიმში მოხდა. ჩვენი წერილის გმირი ბურთის მაგივრად „ფორესტის" მცველს გერი ჩარლზს მიასკდა და მარჯვენა ფეხზე მყესები დაიწყვიტა. „სფურზმა" თასი გაზას გარეშე მოიპოვა.

გაზამ თამაშის დარჩენილი ნაწილი საავადმყოფოს ტელევიზორში ნახა, ხოლო შემდეგ, როგორც ერთგან აღწერა, დეპრესია მოაწვა, იმავე საღამოს გამარჯვებულმა თანაგუნდელებმა რომ გაუარეს.

„სფურზის" იმდროინდელმა მწვრთნელმა, ტერი ვენეიბლზმა ასე მოიგონა: „ფინალის გმირი გესქოინი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი იმდენად აღელვებული ჩანდა, რომ მატჩამდე გასახდელში დრო მის დაწყნარებას შევალიე. მანამდე, ერთი კვირით ადრე, ნახევარფინალში პოლმა „არსენალს" ჩინებული საჯარიმო დარტყმით გაუტანა. იმ დღეს „უემბლიზე" 3:1 მოვიგეთ და მას მერე გაზა იმავე მოედანზე დაბრუნებით იყო შეპყრობილი. ფინალში საკუთარი თავის წარმოჩენა ეწადა, უნდოდა მსოფლიოსთვის თავისი სიდიადე ეჩვენებინა, მაგრამ ყველაფერი უკუღმა დაუტრიალდა".

ნავსიან ფინალამდე კი, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. 1988 წლის ივლისში „ტოტენჰემმა" იგი „ნიუკასლ იუნაიტედისგან" ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხად, 2 მილიონ გირვანქად იყიდა. 21 წლისა ბურთს ჩინებულად ფლობდა, სივრცეს გრძნობდა, დრიბლინგით იტოვებდა მოწინააღმდეგეებს და მათ ფანებსაც სიმპატიით განაწყობდა.

1990 წლისთვის გესქოინმა ბობი რობსონისეულ ინგლისის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ყვითელი ბარათით რომ დაისაჯა და მიხვდა, მისი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში ფინალს გამოტოვებდა, იტირა.

სწორედ იმ დღეებში შეარქვეს გაზა და ლეგენდაც იშვა. ბევრი ამტკიცებდა, რომ ინგლისელთა ეროვნული გუნდის ქვაკუთხედად იგი უნდა ქცეულიყო.

1991 წელს გაზას საუცხოო თამაშმა „ტოტენჰემი" ინგლისის თასის ფინალში გაიყვანა და... რომის „ლაციომ" 8 მილიონი გირვანქაც გაიღო.

თასის ფინალში მიღებული ტრავმის მერე გამოჯანმრთელებას მთელი წელიწადი დასჭირდა. შესაბამისად შეჩერდა „ლაციოსთან" მოლაპარაკებებიც, თუმცა საბოლოოდ გარიგება მაინც შედგა — 18 თვით უფროსი, ტრავმაგადატანილი და 5,5 მილიონ გირვანქად შეფასებული გესქოინი იტალიაში გადაბარგდა.

რომში ჩასულმა გაზამ, ერთ-ერთი პირველი რაც გააკეთა, რეპორტიორის მიკროფონში ჩაბოყინება გახლდათ, ბოყინით კი იტალიელთა გული მაინცდამაინც ვერ მოიგო. ამას ფეხის მოტეხვა და ერთწლიანი გაუჩინარება მოჰყვა.

სერია A-ში გატარებული სამი არაფრისმთქმელი სეზონის შემდეგ გესქოინი ბრიტანეთში, ოღონდ შოტლანდიაში კერძოდ კი „გლაზგო რეინჯერსში" დაბრუნდა და მალევე გაეხვა სკანდალში — „რეინჯერსის" ოდინდელი მეტოქის, „სელტიკის" ფანებს დაეჯლანა, რითაც საშინელი რისხვა გამოიწვია. სწორედ „რეინჯერსში" თამაშის პერიოდში გაუუარესდა ურთიერთობა მეუღლესთან, შერილთან. ეს ამბავი გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდა.

მეუღლემ გაზა მიატოვა, შემდეგ შეურიგდა, შემდეგ ისევ მიატოვა, შემდეგ კვლავ შეერთებაზე ესაუბრა, ბოლოს კი გაცილდა.

„რეინჯერსიდან" გესქოინი მშობლიურ ჩრდილო-აღმოსავლეთში დაბრუნდა, „მიდლსბროში" დაიწყო თამაში, მოინდომა და ინგლისის ნაკრებსაც ხელახლა შეეგუა, მაგრამ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ გლენ ჰოდლმა გუნდიდან გაუშვა.

უცნაური კაცია გაზა. მეგობრებისთვის მომხიბვლელი და კეთილი, ხეიბარ ბავშვებზე მზრუნველი, მოედანზე ბევრ მილიონერ კოლეგაზე თავდადებული, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და დეპრესიული.

„მიდლსბროში" მასზე ზრუნავენ. მწვრთნელი, ბრაიან რობსონი მისი მეგობარია, დამრიგებელი, მენტორი, ყოფილი თანანაკრებელი, მაგრამ შედეგი? განა გესქოინი ოდნავ მაინც ჰგავს იმ ფეხბურთელს, რომელიც ათი წლის წინ ლამის გენიოსად იყო შერაცხული?

გაზას კოლექციაში ინგლისის ნაკრებში ჩატარებული 57 შეხვედრაა, ფეხბურთის ასოციაციის თასი, ორი შოტლანდიური ოქრო, იქაურივე თასი და ლიგის თასი.

როდესაც გაზა პრემიერლიგას დაუბრუნდა, მისმა აგენტმა მელ სტეინმა თქვა:

„ის 32 წლის ფეხბურთელია. მაშ, რატომ ვერ უნდა ითამაშოს პრემიერლიგაში ხელახლა? მას სწამს, რომ ინგლისის ნაკრებშიც შეძლებს დაბრუნებას. მისი საქმე ჯერ არ მოთავებულა. ის ყოველთვის ბრუნდება".

**მაიკ კოლეტი, როიტერი**

*P.S. ორშაბათს „მიდლსბროსა" და „ასტონ ვილას" შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თავისებურად შეაფასა. მიუხედავად პოლ გესქოინის ტრავმისა, საფეხბურთო დიდმოხელეებმა აღნიშნეს, რომ წესი გესქოინმა დაარღვია, უფრო ზუსტად კი უზნეოდ მოიქცა, რისთვისაც მას დასჯიან.*

# თარსი რაოდენობის მსაჯები

ევრო 2000-ის შეხვედრებს 13 მსაჯი მოემსახურება. შეადარეთ ეს რიცხვი 24-ს, რომელიც ევრო 96-ის მომსახურე არბიტრთა რაოდენობას მიუთითებს და ნათლად გამოჩნდება, რომ უეფას ევროპის პირველობის მსაჯობაზე ახალი შეხედულება შეუქმნია.

ჩამოვთვალოთ ისინი, ნიონში ბელგია-ჰოლანდიის სტადიონებისთვის უკვე რომ შეარჩიეს და დაამტკიცეს: გიუნტერ ბენკო (ავსტრია), პიერლუიჯი კოლინა (იტალია), ჰიუ დალასი (შოტლანდია), ანდრეას ფრისკი (შვედეთი), ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი), დიკ იოლი (ჰოლანდია), ურს მაიერი (შვეიცარია), ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია), მარკუს მერკი (გერმანია), კიმ მილტონ ნილსენი (დანია), გრემ პოლი (ინგლისი), ჟილ ვესიე (საფრანგეთი). თუ დააკვირდებით, ჩამოთვლილი მხოლოდ თორმეტია, რაც ეს შეცდომა სულაც არ არის, რადგან მეცამეტე არბიტრი აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ უნდა დაასახელოს. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპისა და აფრიკის კონტინენტურ ორგანიზაციათა მიერ შემუშავებულია მსაჯთა გაცვლის პროგრამა, რომლის ძალითაც აფრიკის თასზე, ამასწინათ, ევროპელი არბიტრი სჯიდა.

მსაჯთა რაოდენობის შემცირება მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად არის ჩაფიქრებული. თუ ოთხი წლის წინ თითო რეფერის თითო მატჩის სჯა მოუხდა, წლეულს თითოს რამდენიმე შეხვედრის გაძღოლა მოუწევს.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ თუ ევრო 96-ზე მსაჯები კონკრეტულ მატჩზე შინიდან მიემართებოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, ევრო 2000-ზე მათ ბრიუსელთან საგანგებო ბანაკი ექნებათ.

დადგინდა, რომ დღეიდან შეჯიბრების დაწყებამდე ხსენებულ 13 მსაჯს აეკრძალებათ ევრო 2000-ის მონაწილე 16 გუნდის შეხვედრათა სჯა.

უეფამ აგრეთვე დაადგინა 16 თანამსაჯისა (ოთხი მათგანი აფრიკიდან იქნება) და ოთხი მეოთხე მსაჯის ვინაობაც.

# დი-ნა-მო, დი-ნა-მო...

90-იანი წლების დასაწყისში ევროპას დამოუკიდებლობის გამოცხადების ტალღამ გადაუარა. პოლიტიკურ რუკაზე ბლომად გაჩნდა ახალი სახელმწიფოებიც. შესაბამისად, უეფას წევრი ქვეყნების რიცხვმაც იმატა. ახლახან მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებს გადავავლე თვალი. დღევანდელი ექვსგუნდიანის ნაცვლად მაშინ ოთხგუნდიანი ჯგუფები იყო. თუმცა თემას გადავუხვიე. იმას მოგახსენებდით, რომ დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა ეროვნული ფეხბურთის ფედერაციები შექმნეს და საკუთარი ჩემპიონატების გამართვა დაიწყეს. ეროვნული სულისკვეთება უფრო შორსაც წავიდა და ბევრი კლუბი ახლებურად მოინათლა.

Dynamis — ბერძნული სიტყვაა და ძალას ნიშნავს. აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყოველი ქვეყნის, თითქმის ყოველ ქალაქს ჰყავდა გუნდი, რომელსაც ამ სიტყვის ოდნავ სახეშეცვლილი ვარიანტი — „დინამო" ერქვა. შემდეგ ჩავთვალეთ, რომ „დინამო" კომუნისტურ-საბჭოური სახელია და „ისტორიის სანაგვეში" მოვისროლეთ. ქართველებმა ჩვენს უპირველეს კლუბს „იბერია" ვუწოდეთ, ხორვატებმა „კროაცია" ამჯობინეს.

გამოხდა ხანი. „იბერია" კვლავ „დინამომ" შეცვალა. ხორვატებს ამისთვის ცოტა მეტი დრო დასჭირდათ.

ზაგრების „კროაცია". კლუბის ნათლია, არც მეტი, არც ნაკლები, ხორვატთა აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი ფრანიო ტუჯმანი გახლდათ. ტუჯმანი ამბობდა, დამოუკიდებელი ხორვატული ფეხბურთი და მისი ფლაგმანი ზაგრების „დინამო" ევროპულ სარბიელზე ეროვნული სახელით უნდა გავიდესო. გავიდა კიდეც, აგერ ჩემპიონთა ლიგასაც მოუსინჯა კბილი. ტრიბუნებზე კი მაინც „დინამო, დინამო" გაისმოდა. ზაგრებელ ქომაგებს თავისი ჰიმნიც აქვთ, რომელსაც „წმინდა სახელი — დინამო" ჰქვია.

გასული წლის 10 დეკემბერს ფრანიო ტუჯმანი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და სახელის აღდგენის საკითხიც დღის წესრიგში დადგა. ერთი საინტერესო დეტალიც. კლუბის პრეზიდენტი ზლატკო კანჯუგა ხორვატიაში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეც გახლავთ და „დინამოს" დაბრუნება მისთვის გულშემატკივართა (ანუ ამომრჩეველთა) გულების (ხმების) მოგების საშუალებაც არის.

და აი, ორიოდე დღის წინ ზაგრების „კროაციას" 44-კაციანი დირექტორთა საბჭო შეიკრიბა. 43 ხმა 1-ის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება მიღებულია, „კროაციას" კვლავ „დინამო" ეწოდა. ახალი ამბავი კლუბის ოფისიდან უმალ ქუჩაში გავრცელდა, სადაც კლუბის 5 ათასი ერთგული ქომაგი იდგა და მღეროდა: „წმინდა სახელი — დინამო".

**გიორგი დარჯანია**



AFP ზაგრებიდან

„კროაციას", ახლა „დინამოს" ფანები კლუბის ოფისთან შეკრებილან




იყიდება როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

# მარსელი—პსჟ-ს დროს მოგვარეებიც მტრები არიან

## საფრანგეთი

XXVI ტური

**ნანტი 6:1 ლიონი**

1:0 და როშა (6), 2:0, 3:0 სიბიერსკი (8, 9), 3:1 ვერელი (34), 4:1, 5:1 დევინო (42, 52), 6:1 შანელე (87)

**მარსელი 4:1 პსჟ**

0:1 კრისტიანი (7), 1:1 პერესი (24), 2:1 პუჟე (59), 3:1 აბარდონადო (67), 4:1 მორისი (78)

მარსელი: ტრევიზანი, ბლონდო, ფიშერი, დუმა (მარტინი 46), აბარდონადო, პერესი, დალმა (დე ლა პენია 72), ჟ. ლერუა, პირესი, პუჟე (ბაკაიოკო 83), მორისი

პსჟ: ლამა, ალჟერინო (ლასპალი 21), ელ კარკური, რაბესანდრატანა, ა. სისე, ბენარბია, დიუკრო, ე. სისე (იანოვსკი 35), რობერი (მადარი 74), კრისტიანი, ლ. ლერუა

გაფრთხილება: ლ. ლერუა, დიუკრო, ბენარბია, ელ კარკური, პერესი, ლასპალი

გაძევება: ჟ. ლერუა (19), ლ. ლერუა (19)

მსაჯი: პულა




მარსელი — პსჟ 4:1. ლერუების გაშველება ძალიან გაჭირდა

მარსელი—პსჟ-ს დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩევა. მნიშვნელობა არა აქვს, გუნდები ჩემპიონატში რა მიზნებისთვის იბრძვიან, რომელ ტურშია ეს შეხვედრა ან სად, ჰაერივით სჭირდებათ ქულები, თუ მომავალი თამაშისთვის ძალების დაზოგვაა საჭირო. ეს ორი კლუბი ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდაა გადამტერებული და ყოველ შეხვედრაში ბოლომდე იხარჯება, რათა მოსისხლე გაამწაროს. და არა აქვს მნიშვნელობა, რომელიმე ფეხბურთელი ადრე მოწინააღმდეგის ბანაკში იყო, თუ არა. როცა მარსელელი ხდები, პსჟ-ს მტერი ხარ და როცა „პარი სენ ჟერმენის" მაისურას მოირგებ, „მარსელიც" იმწამს უნდა შეგზიზღდეს. ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება. ქომაგებიც ყველასთან წაგებას, პირველი დივიზიონიდან გავარდნასაც კი გაპატიებენ, მთავარ კონკურენტს თუ მოუგებ.

ამჯერადაც იგივე სიტუაცია იყო. თუ გინდათ, საფრანგეთის თასზე ქვედადივიზიონელ „გენიონთან" მარცხი (3:4) დავივიწყოთ, პსჟ-ს შავი დღე აყარეთო, განუცხადეს გულშემატკივრებმა მარსელელებს. მათაც სხვა რა გზა ჰქონდათ და პარიზელები მიწასთან გაასწორეს. თამაშის წინ ზღვისპირა ქალაქის პოლიციამ მობილიზაცია გამოაცხადა და „ველოდრომის" დაცვა გააათკეცა. 55 ათასი გიჟმაჟი ქომაგისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. 700 დედაქალაქელ სტუმარს, სტადიონის დამცველთა გარდა, 800 პოლიციელი მფარველობდა. წესრიგის დამცველთა გასახარად გულშემატკივრები საკმაოდ წყნარად იქცეოდნენ და ექსცესები არც მატჩის მსვლელობისას და არც მის მერე მომხდარა.

სამაგიეროდ, მინდორზე ატყდა ხელჩართული ბრძოლა. თამაში წუთის დაწყებულიც არ იყო, კრისტიანი მორისთან რომ დაეჯარიმდა, რასაც უმალ ფეხბურთელთა შეჯგუფება და გაწევ-გამოწევა მოჰყვა, თუმც სიტუაცია მალევე ჩაწყნარდა. მე-19 წუთზე კი სპორტსმენებმა ნერვების მოთოკვა ველარ შეძლეს და ერთმანეთი საბრძოლო ხელოვნებაშიც გამოსცადეს. მარსელელმა ჟერომ ლერუამ, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ გადავიდა პსჟ-დან, ყოფილი თანაგუნდელი და მოგვარე ლორან ლერუა ტექნიკური ვარდნით დასცა ძირს. პარიზელმა ეს ვერ აიტანა და მუშტების ქნევა დაიწყო, თუმც ჟერომი უფრო გაწაფული აღმოჩნდა ჩხუბში და თანაგუნდელებიც დროულად მიეხმარნენ. საბოლოოდ, ლორანს მეტი მოხვდა, მსაჯმა პულამ კი ორივე ლერუა გასახდელების გზას გაუყენა. წესრიგი მერეც მრავალჯერ დაირღვა, რაზეც გაფრთხილებათა რაოდენობაც მეტყველებს, მაგრამ ჯგუფურ ჩხუბამდე საქმე აღარ მისულა.

ანგარიში კი მე-7 წუთზე გახსნა კრისტიანმა, რომელმაც ბენარბია-ალჟერინოს კომბინაცია დააგვირგვინა. „გაშვებული გოლის შემდეგ შიში ნამდვილად არ გვიგრძვნია. პირიქით, ამან გამოგვაფხიზლა და გაცილებით უკეთ ავთამაშდით" — თქვა რობერ პირესმა. მართლაც, მასპინძელთა შემტევი დუეტი მორისი-პუჟე (სხვათა შორის წინა წლებში ორივე პსჟ-ში გამოდიოდა) ბრწყინვალედ ირჯებოდა და ბერნარ ლამას კართან უამრავ ხიფათს ქმნიდა. სირილ პუჟეს უკვე მე-8 წუთზევე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბედმა უმტყუნა. მე-20 წუთზე კი პირესის დარტყმის შემდეგ ლამა ბურთს ძლივს მიწვდა და იგი მისი კარის ხარიხას მოხვდა. ლერუების გაძევებიდან რამდენიმე წუთში კი მორისთან უხეშობისთვის დანიშნული ჯარიმა პირესმა შეასრულა. მისი ჩაწოდების შემდეგ სებასტიან პერესმა ბურთს თავი დაჰკრა და ანგარიში გაათანაბრა. „მარსელის" უპირატესობა ამის მერეც აშკარა იყო, მაგრამ ბურთი სასწაულებრივ არ შედიოდა ლამას კარში და როცა ტაიმის მიწურულს პუჟემ მაინც გაიტანა, მსაჯებმა მეტად საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ჩაიგდეს ხელში ინიციატივა და „მარსელი" რამდენჯერმე პორატოს შემცვლელმა ტრევიზანმა გადაარჩინა. თითქოს პსჟ თამაშის ბატონ-პატრონი გახდა, მაგრამ არა... პერესის გრძელი პასის შემდეგ მორისმა თავით დაუგდო ბურთი პუჟეს, რომელმაც მშვენიერი დარტყმით დააწინაურა თავისიანები. მალე კი აბარდონადომ ლამას შეცდომით იხეირა და მესამე გოლი გაიტანა. დალმას მოწოდებული კუთხურის შემდეგ პარიზელთა ჭარმაგ მეკარეს ბურთი ხელებიდან გაუსხლტა და მეტოქის მცველმა იგი თავურით ცარიელ კარში შეაგდო. 78-ე წუთზე კი მორისმაც გაიტანა პირესის პასის შემდეგ. გოლმა „ფლო" ისე გაახარა, თავისი ბუცი მაყურებლებში მოისროლა და მსაჯისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

„ბედნიერი ვარ. დიდხანს ველოდი ასეთ მატჩს. ამ საღამოს ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა. მათთვის მადლობის მეტი რა მეთქმის" — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა „მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ კაზონიმ.

მეორე მატჩში კი ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლმა „ლიონმა" დიდი სირცხვილი ჭამა ნანტში. ლიონელთა ყოფილი კაპიტნის, ალენ კავეგლიას წინამძღოლობით ნანტელებმა მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს და 6:1 გაიმარჯვეს. სტუმართა მწვრთნელმა ბერნარ ლაკომბმა კი განაცხადა, რომ სირცხვილისგან იწვის და გუნდში შეიძლება კარდინალური ცვლილებებიც მოახდინოს.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ამხანაგური მატჩები

23 თებერვალი

**ლუქსემბურგი — ჩრდ. ირლანდია**

*ჩრდ. ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: მაიკ ტეილორი (ფულემი, ინგლისი), როი კაროლი (უიგანი, ინგლისი);*

*მცველები: მარკ უილიამსი (უოტფორდი, ინგლისი), დენი გრიფინი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია), იან ნოლანი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), კოლინ მერდოკი (პრესტონი, ინგლისი), პეტ მაკგიბონი (უიგანი, ინგლისი), კევინ ჰორლოკი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: არონ ჰიუზი (ნიუკასლი, ინგლისი), დემიენ ჯონსონი (ბლექბერნი, ინგლისი), მაიკლ ჰიუზი (უიმბლდონი, ინგლისი), ჯიმ მეჯილტონი (იფსვიჩი, ინგლისი), ჯეფ უიტლი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), დენი სონერი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), სტივ ლომასი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯიმი ქუინი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ადრიან კოტი (ნორვიჩი, ინგლისი), დევიდ ჰელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტეფენ რობინსონი (ბორნმუთი, ინგლისი), კეიტ გილესპი (ბლექბერნი, ინგლისი)*

23 თებერვალი

**თურქეთი — ნორვეგია**

*ნორვეგიის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ტომას მირე (ევერტონი, ინგლისი), ფროდე ოლსენი (სევილია, ესპანეთი);*

*მცველები: ტრონდ ანდერსენი (უიმბლდონი, ინგლისი), ჰენინგ ბერგი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ანდრე ბერგდოლმო, ბიორნ ოტო ბრაგსტადი, ერიკ ჰოფტუნი (ყველა რუსენბორგი), ვეგარდ ჰეგემი (ლივერპული, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ერიკ ბაკე (ლიდსი, ინგლისი), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), კეტილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია);*

*თავდამსხმელები: სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია), ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), როარ სტრანდი (რუსენბორგი), ანდრეას ლუნდი (უიმბლდონი, ინგლისი)*

23 თებერვალი

**ისრაელი — რუსეთი**

*რუსეთის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია), ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი), ევგენი კორნიუხინი (ტორპედო);*

*მცველები: დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), იგორ იანოვსკი (პსჟ, საფრანგეთი), იგორ ჩუგაინოვი, იური დროზდოვი (ორივე ლოკომოტივი), ომარ თეთრაძე (პაოკ, საბერძნეთი);*

*ნახევარმცველები: დმიტრი ალენიჩევი (პერუჯა, იტალია), ეგორ ტიტოვი, ანდრეი ტიხონოვი (ორივე სპარტაკი), ალექსეი სმერტინი (ლოკომოტივი), ალექსანდრ მოსტოვოი, ვალერი კარპინი (ორივე სელტა, ესპანეთი), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი), სერგეი სემაკი (ცსკა), ვლადიმირ ბუტი (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია);*

*თავდამსხმელები: ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), ალექსანდრ შირკო (სპარტაკი), ალექსანდრ პანოვი (ზენიტი)*

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების განრიგი ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე:

| | |
|---|---|
| 23.02 | ამსტერდამი<br>ჰოლანდია — გერმანია |
| 29.03 | ზაგრები<br>ხორვატია — გერმანია |
| 26.04 | კაიზერსლაუტერნი<br>გერმანია — შვეიცარია |
| 26.05 | მიუნხენი<br>ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარი მატჩი |
| 30.05 | პალმა დე მალიორკა<br>მალიორკა (ესპ.) — გერმანია |
| 3.06 | ფრაიბურგი<br>გერმანია — ლიხტენშტაინი |

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**სენტ ჯონსტონი 1:1 რეინჯერსი**

0:1 ვიდმარი (58), 1:1 ლოუნდსი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 21 | 16 | 4 | 1 | 57:17 | 52 |
| სელტიკი | 21 | 14 | 2 | 5 | 59:20 | 44 |
| მოზერუელი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:35 | 32 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 4 | 8 | 25:33 | 31 |
| ჰიბერნიანი | 23 | 6 | 10 | 7 | 34:37 | 28 |
| ჰართსი | 20 | 7 | 5 | 8 | 31:30 | 26 |
| სტ.ჯონსტონი | 22 | 5 | 8 | 9 | 21:27 | 23 |
| დანდი | 21 | 7 | 2 | 12 | 24:33 | 23 |
| აბერდინი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:62 | 16 |
| კილმარნოკი | 21 | 2 | 9 | 10 | 19:31 | 15 |

თასის III ეტაპის გადათამაშება

***ეირი* 1:1დ.დ. (0:0) (პენ.7:6) დანდი**

0:1 გ. რაე (91), 1:1 ნ. დაფი (105)

*IV ეტაპზე „ეირი" შეხვდება „მოზერუელისა" და „არბროთს" შორის გამარჯვებულს*

## გერმანია

თასის ნახევარფინალი

***ვერდერი* 2:1დ.დ. (1:1) კიკერსი**

1:0 დაბროვსკი (2), 1:1 ოზქანი (82), 2:1 მაქსიმოვი (103)

ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ტრარესი, ფრინგსი, აილტსი (მაქსიმოვი 60), დაბროვსკი, ა. ჰერცოგი (ბოგდანოვიჩი 100), აილტონი, პიზარო (ფრაი 69)

კიკერსი: კლაუსი, კეულერი, ვან დე ლოი, პფუდერერი, ბლესინი (ოზქანი 69), ზიგნერი, რასპე, მინკვიცი, კვრიჩი, კასიო (კარნევალე 57, კუმერლე 86), ტ. მარიჩი

გაფრთხილება: აილტონი, ტრარესი, მარიჩი, პფუდერერი

გაძევება: მინკვიცი (84), მაქსიმოვი (103)

მსაჯი: იანსენი

## ამხანაგური მატჩი

23 თებერვალი

**ჰოლანდია — გერმანია**

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა დაასახელა ის 19 ფეხბურთელი, რომელნიც 23 თებერვალს ამსტერდამში „ამსტერდამ არენაზე" ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდებიან.

გუნდშია ნაკრების უბერებელი ლიბერო, 38 წლის ლოთარ მათეუსიც.

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*მცველები: მარკუს ბაბელი, თომას ლინკე, ლოთარ მათეუსი (ყველა ბაიერნი), ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), იენს ნოვოტნი (ბაიერი, ლევერკუზენი), კრისტიან ვიორნსი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (ბაიერი, ლევერკუზენი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), იენს იერემისი, მეჰმეთ შოლი (ორივე ბაიერნი), ზოლტან სებეშენი (ვოლფსბურგი), დარიუშ ვოში (ჰერტა), კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ოლივერ ნოივილი (ბაიერი, ლევერკუზენი), მიხაელ პრეეცი (ჰერტა)*

## ისრაელი

თასის (ტოტო) ფინალი

**მაკაბი (ჰაიფა) 1:4 *მაკაბი* (ფეთაჰ თიკვა)**

0:1 მალიჰი (5), 0:2 ამარი (8), 1:2 კოენი (35), 1:3 მალიჰი (41), 1:4 შარიაჰუ (58)

გაძევება: გახოკიძე (45, ჰაიფა)

## კონკაკაფის ოქროს თასი

C ჯგუფი

**ტრინიდადი 4:2 გვატემალა**

1:0 ლატაპი (26), 1:1 პლატა (30), 2:1 დვარიკა (36), 2:2 გილერმო რამირესი (47), 3:2 ნახიდი (52), 4:2 იორკი (83)

D ჯგუფი

**კანადა 0:0 კორეა**

## ოთხი ქვეყნის თასი

II ტური

**ჩილე 3:2 ბულგარეთი**

**ავსტრალია 0:0 სლოვაკეთი**

III ტური

**ავსტრალია 1:1 ბულგარეთი**

**სლოვაკეთი 2:0 ჩილე**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

# ალბათ უფრო ინგლისში...

ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ რუუდ ვან ნისტელროიზე უკვე საკმაო მითქმა-მოთქმაა. ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელით ევროპის ბევრი წამყვანი კლუბი დაინტერესდა. თავად ნისტელროიმ კი განაცხადა, რომ თუ პსვ-ს დატოვებს, კარიერას ალბათ პრემიერლიგაში გააგრძელებს და რომელიმე სახელოვან ინგლისურ კლუბში გადაბარგდება.

„თუ პსვ-დან წავედი, ინგლისში გადავალ" — ამბობს ნისტელროი. ჰოლანდიური მასმედიის ცნობით, ფორვარდის შეძენა იტალიურ ან ესპანურ კლუბებსაც სურთ, სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიან. თუმც პსვ-ს ხელმძღვანელობა ჯიუტად აცხადებს, რომ ნისტელროის, რომელსაც კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი 2003 წელს ეწურება, გაყიდვას არ უპირებს. უფრო სწორად, მათ ამის თაობაზე ჯერჯერობით არავინ შეხმიანებია.

„დღევანდელი საფეხბურთო ბაზრის პრინციპი ასეთია — თუ რომელიმე კლუბი ახალი ფეხბურთელის შეძენას მოისურვებს, პირველ რიგში მის აგენტს და გუნდს უნდა დაუკავშირდეს. თუ ვინმე ვან ნისტელროით მართლაც დაინტერესდა, ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, ისინი ჩვენ შეგვითანხმდნენ — აცხადებს პსვ-ს პრესატაშე და დასძენს — მართალია, ჭორებმა ჩვენ ყურამდეც მოაღწია, თითქოს ვან ნისტელროის გადაბირებას „ჩელსი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული" და „არსენალი" ცდილობენ, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ არავინ შეგვხმიანებია, ამიტომ ჯერჯერობით ყოველგვარი მოსაზრება გაზვიადებულია."

ვან ნისტელროი პსვ-ს ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდა, რომ თუ რომელიმე კლუბი მის შეძენას მოინდომებს, აუცილებლად დაელაპარაკონ და თავად ფეხბურთელს უმალვე შეატყობინონ.

ერთი კვირის წინ პსვ-სა და „აიაქსის" შეხვედრას „ჩელსის" წარმომადგენლებიც დაესწრნენ, თუმცა გუნდებს შორის ოფიციალური მოლაპარაკება არ გამართულა.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის ვან ნისტელროიმ მიმდინარე სეზონში 27 გოლის გატანა მოახერხა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. პერსპექტიული ფეხბურთელი ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმაც შეამჩნია და გუნდში მიიწვია. ვან ნისტელროიმ ცხრა სანაკრებო შეხვედრაში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა.

**ნიკა შუბლაძე**

# ესპანეთი

## გადადებული მატჩი

### ვალიადოლიდი 0:1 რეალი

0:1 მეკა (86)

ვალიადოლიდი: სესარი, ტორეს გომესი, მარკოსი, პაინცე, პენია, გარსია კალვო, კამინერო (ჩემა 65), ვისკაინო, შოჯი ჯო (ალბერტო 74), ხავი ხიმენესი, ვიქტორი

რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, კარანკა, მიჩელ სალგადო, იერო, რედონდო, გუტი, ივან ელგერა, მაკმანამანი (ზარატე 57), ოგნიენოვიჩი (მეკა 57), მორიენტესი (ივან კამპო 89)

გაფრთხილება: პაინცე, ჩემა, ხავი ხიმენესი

მსაჯი: ხაპონ სევილია

სამშაბათს „სარბიელში“ ესპანეთის ჩემპიონატის 24-ე ტურის მიმოხილვას ასეთი სათაური ჰქონდა — „სენსაცია: რეალმა ბარსელონას გაუსწრო“. განვმარტოთ, „რეალს“ ერთი მატჩით ნაკლები ჩაეტარებინა და დაკარგული ქულებით მხოლოდ „დეპორტივოს“ და „სარაგოსას“ ჩამორჩებოდა. და მაინც, რა იყო აქ სენსაციური? გათამაშების ცხრილს თუ ჩავხედავთ, მადრიდელებს მხოლოდ ხუთი თამაში აქვთ წაგებული მაშინ, როცა კატალონიელებს წაგებათა გრაფაში — 8 უწერიათ, ანუ ყოველ მესამე შეხვედრაში მინდორს თავდახრილები ტოვებენ. სიტყვა „სენსაცია“ აი, რატომ ვახსენე: გეხსომებათ, ორი თვის წინ „სამეფო კლუბი“ პრიმერა დივიზიონში მე-17 (!) ადგილზე იმყოფებოდა. მეორე დივიზიონში გავარდებაო, არავის უფიქრია, თუმც ჩემპიონობისთვის მებრძოლთა სიიდან ამოშალეს. იმ პერიოდში ლორენცო სანსმა ჯონ ტოშაკიც დაითხოვა. უელსელის მემკვიდრე კი არა რომელიმე ბობოლა მწვრთნელი, არამედ მოკრძალებული ვისენტე დელ ბოსკე გახდა. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, „ბარსელონას“ მუდმივი მეტოქე ჩამოშორებული ჰყავს, „დეპორტივოსი“ არ ეშინია და რამდენიმე თამაში შესაძლოა უბრძოლველად დათმოსო. ლურჯ-წითელთა გახშირებულ მარცხებსაც სწორედ ამ ვარაუდით ხსნიდნენ.

და აი, სამშაბათს „რეალმა“ ის ერთი გამოტოვებული მატჩიც გამართა, მოიგო, მესამე ადგილზე გადაინაცვლა და „დეპორტივოსთან“ მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს.

„ვალიადოლიდი“ „რეალის“ მატჩი კი ასე წარიმართა. თამაში საკმაოდ მძიმედ დაიწყო და უზუსტობებიც მრავლად იყო. „გასახურებლად“ გუნდებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ. 25-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე გამწესებულმა სტივ მაკმანამანმა შეუტია სახიფათოდ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე სესარ სანჩესმა იყოჩაღა და ინგლისელს არ გაატანინა. პირველ ტაიმში მადრიდელთაგან მიზანთან ყველაზე ახლოს პერიცა ოგნიენოვიჩი იყო, ვისი დარტყმულიც მეტოქის კარს ოდნავ ასცდა. არც ვალიადოლიდელები ყოფილან გულხელდაკრეფილნი. ხოსე ლუის კამინეროს დარტყმულის მოგერიება კასილიასმა ფეხითღა შეძლო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლები აქტიურობდნენ. კარგი მომენტი შეექმნა იაპონელ შოჯი ჯოს. მადრიდელ მცველებს ის უმეთვალყურეოდ ჰყავდათ მიტოვებული, მაგრამ შოჯი ჯოს ცოტაოდენი სიზუსტე და იღბალი დააკლდა. დასამახსოვრებელი იყო „ვალიადოლიდის“ კარის მიმართულებით 70-ე წუთზე დანიშნული საჯარიმოც. ბურთთან, ცხადია, რობერტო კარლოსი მივიდა და მისებურად, ანუ ძალიან სახიფათოდ დაარტყა... არც ბრაზილიელის მხარეს იყო იღბალი. კარგად ირჯებოდა წინა შეხვედრაში გამარჯვების გოლის გამტანი როლანდო ზარატე. მან ბურთი ძელს გაარტყა. ამასობაში მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და მადრიდელთა მესამე ადგილზე ალზევების შანსი სულ უფრო მცირდებოდა. 86-ე წუთზე კი დედაქალაქელებს გამარჯვება იმ ფეხბურთელის გოლმა მოუტანა, ვისგანაც ნაკლებად ელოდნენ — ხოსე მანუელ მეკა მატჩის გმირი გახდა.

ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, 24-ე ტურის შემდეგ მადრიდის „რეალი“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას დაუბრუნდა.



REUTERS ვალიადოლიდიდან

მადრიდელმა პერიცა ოგნიენოვიჩმა ვალიადოლიდელი ვიქტორი უკან მოიტოვა

## დაჯილდოება

არა, „რეალისთვის“ პრიზი არავის გადაუცია, რივალდოზე მოგახსენებთ. ბრაზილიელმა ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობა არ იკმარა და ესპანელთა რჩეულიც გახდა. გამოკითხვა ესპანელ სპორტულ ჟურნალისტთა შორის მოეწყო. არც რივალდოს თანაგუნდელი ლუიშ ფიგუ დარჩა გულნატკენი. ჟურნალისტებმა ერთხმად განაცხადეს, ასეთი თავდამსხმელი წინა წელს არ გვყოლიაო. საუკეთესო მწვრთნელის ტიტული კი კლაუდიო რანიერის ერგო. მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლის შემდეგ იტალიელ სპეციალისტს ვერაფრისთვის მიუღწევია, გუნდი სახიფათო ზონაში იმყოფება, მაგრამ გასულ სეზონში „ვალენსიას“ წარმატებები მის სახელს უკავშირდება. ამ კლუბმა ქვეყნის თასი მოიგო (გემახსოვრებათ, ნახევარფინალში „რეალთან“ 6:0) და ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც დაეუფლა. აქვე ვთქვათ, რომ საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენისას ფეხბურთელებს არ გაუმართლათ — გასულ წელს ესპანეთში ასეთად კალათბურთელი საშა ჯორჯევიჩი იქცა.

## ვარსკვლავი არ ვარ

ეს სიტყვები „ატლეტიკოს“ ბომბარდირ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ეკუთვნის. მიმდინარე სეზონში ხესუს ხილის ნაქვეშევრდომებს 34 გოლი აქვთ გატანილი. აქედან 20 ჰასელბაინკის ანგარიშზეა. ასეთი ფეხბურთელის წყალწალებულ „ატლეტიკოში“ ყოფნა საცოდაობააო და ჰოლანდიელს შეძენის მსურველთა რიგი დაუდგა. „მილანი“ (ყველა კარგ ფეხბურთელზე რომ იძახის, ვყიდულობო), „ლივერპული“, „ტოტენჰემ ჰოთსფური“ და „მიდლსბრო“ მზად არიან, ჯიბეზე ხელი გაიკრან. ჰასელბაინკი კი ამ დროს მშვიდად არის და არსად წასვლას არ ფიქრობს. „ლიდსში“ ყოფნისას ძლიერ გამიჭირდა — ამბობს ბომბარდირი — ინგლისში სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენ. იქაურ უსწრაფეს ტემპს და მაღლა ჩაკიდებულ ბურთს ვერაფრით შევეჩვიე. „ატლეტიკოში“ ბედნიერი ვარ. მერე რა, რომ ბევრი გოლი გამაქვს. ჩემს გარდა კლუბში 25 ჩინებული ფეხბურთელია და თითოეული მათგანის ღვაწლი ჩემსაზე ნაკლები არ არის“. აი, ეს გახლავთ ტიპური ნიმუში ფეხბურთელისა, ვისაც „ვარსკვლავური სენი“ არ შეჰყრია.

## ვან გაალის ბლოკნოტი

როგორც გაირკვა, ლუის ვან გაალს თავისი ლეგენდარული ბლოკნოტი არ დაუკარგავს. შესაბამისად „ბარსელონას“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიზეზი სხვა რამ ყოფილა. მწვრთნელი ამბობს: „ჩემმა ტაქტიკამ ბოლო ორ წელიწადში კლუბს ოთხი ტიტული მოაგებინა (ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი, ქვეყნის თასი და ევროპის სუპერთასი). ამიტომ ბრალდებები, თითქოს თამაშის ჩემეული ხედვა უვარგისია, საფუძველმოკლებულია. მთავარია, ფეხბურთელები როგორ ასრულებენ მწვრთნელის დავალებას. თუ ისინი მოედანზე შეცდომებს უშვებენ, მატჩს ვერანაირი სქემა ვერ გადაარჩენს. ზოგი ფიქრობს, რომ მოთამაშეები მანქანები არიან და მუდამ ერთი და იგივე ძალით უნდა ითამაშონ. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ისე, მწვრთნელის კრიტიკაზე ადვილი არაფერია, მაგრამ სცადონ და უკეთეს შედეგს მიაღწიონ“. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში „ბარსელონა“ ერთდროულად სამ ფრონტზე — ჩემპიონატში, თასზე და ლიგაში იბრძვის და ყველგან ფავორიტად ითვლება.

ესპანურ ამბებზე წერას კი ასე დავასრულებ: 26 თებერვალს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ „ბარსელონას“ ხვდება. კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 24 | 13 | 4 | 7 | 42:31 | 43 |
| სარაგოსა | 24 | 10 | 10 | 4 | 41:25 | 40 |
| რეალი | 24 | 10 | 9 | 5 | 40:37 | 39 |
| ბარსელონა | 24 | 11 | 5 | 8 | 44:31 | 38 |
| სელტა | 24 | 12 | 2 | 10 | 35:30 | 38 |
| ალავესი | 24 | 11 | 5 | 8 | 27:25 | 38 |
| ბილბაო | 24 | 9 | 9 | 6 | 35:35 | 36 |
| ვალენსია | 24 | 9 | 7 | 8 | 32:25 | 34 |
| რაიო | 24 | 10 | 4 | 10 | 33:33 | 34 |
| ნუმანსია | 24 | 9 | 7 | 8 | 33:36 | 34 |
| მალიორკა | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 33 |
| ბეტისი | 24 | 9 | 3 | 12 | 23:38 | 30 |
| რასინგი | 24 | 7 | 8 | 9 | 37:35 | 29 |
| მალაგა | 24 | 7 | 8 | 9 | 33:33 | 29 |
| ატლეტიკო | 24 | 8 | 5 | 11 | 37:39 | 29 |
| ვალიადოლიდი | 24 | 7 | 8 | 9 | 22:26 | 29 |
| ესპანიოლი | 24 | 7 | 7 | 10 | 34:36 | 28 |
| ოვიედო | 24 | 7 | 6 | 11 | 24:38 | 27 |
| სოსიედადი | 24 | 5 | 10 | 9 | 26:33 | 25 |
| სევილია | 24 | 4 | 9 | 11 | 26:38 | 21 |

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიური „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი სერია A-ს ბოლო ტურში, „პერუჯასთან“ შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ფეხბურთელი მსაჯთან შელაპარაკებისთვის გააძევეს მინდვრიდან. მომავალ ტურში რომაელებს საკმაოდ რთული პაექრობა ელით — „სტადიო ოლიმპიკოზე“ ისინი „ფიორენტინას“ უმასპინძლებენ. სადისციპლინო სასჯელის გარდა ტოტის 5 ათასი დოლარის გადახდაც დაეკისრა.

**შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა ჯონათან პარტინმა ინგლისურ „ტოტენჰემთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 17 წლის პარტინი შვედური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი იმედია, ჯერჯერობით იგი „ტოტენჰემის“ 19-წლამდელთა გუნდში თამაშობს. ინგლისურმა კლუბმა პარტინი შვედეთის მეორე დივიზიონის გუნდ „ედსბინ იფიდან“ 35 ათას დოლარად შეიძინა. აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემმა“ ბოლო ხუთი კვირის მანძილზე უკვე მეხუთე ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაიბირა.**

რუსული მოსკოვის ცსკა-ს მთავარი მწვრთნელის, ოლეგ დოლმატოვის მეუღლე მოსკოვის გარეუბანში თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს. „იგი შინიდან 6 თებერვალს გავიდა და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა“ — განაცხადა გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკოლაი სტეპანოვმა. პოლიცია არ გამორიცხავს, რომ გატაცება ცსკა-ს უკავშირდება. ბოლო ხანს რუსეთში გახშირდა სპორტსმენებზე თავდასხმისა და მათი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. დეკემბრის ბოლოს მოლდოვას ნაკრების კაპიტანი ალექსანდრ კურტიანუ სანკტ პეტერბურგში, თავის საცხოვრებელ სახლში ნაცემი იპოვეს.

**ესპანური „ბარსელონას“ ახალგაზრდა პორტუგალიელმა ლეგიონერმა სიმაო სამბროსამ გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშისას კოჭი დაიზიანა და დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. სიმაო „ბარსელონას“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის, მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს იგი შეცვლაზე შეჰყავს. სიმაო აქტიურობით გამოირჩევა და მეტოქე მცველებს დიდ თავსატეხს უჩენს.**

ჰოლანდიური „ვიტესის“ თავმჯდომარე კარელ ალბერსი კლუბის დირექტორთა საბჭოსთან შეუთანხმებლობის გამო თანამდებობიდან გადადგა. იგი გუნდს 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა. მაშინ „ვიტესი“ საკმაოდ სუსტი იყო და ჰოლანდიის მეორე დივიზიონის ცხრილის ფსკერზე იმყოფებოდა, თუმცა ალბერსის ძალისხმევით ბოლო წლებში საკმაოდ მოძლიერდა და რამდენჯერმე ევროტურნირებში მონაწილეობის უფლებაც კი მოიპოვა. ჰოლანდიური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, თავმჯდომარის გადადგომა „ვიტესში“ ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.

**იტალიის ვიცე-ჩემპიონი „ლაციო“ 10 ათასი დოლარით დაჯარიმდა. სერია A-ს ბოლო ტურში, „პარმასთან“ შეხვედრისას, რომაელმა ფანებმა პარმელი შავკანიანი მოთამაშეები — უსმან დაბო, ლილიან ტურამი და სალიუ ლასისი აბუჩად აიგდეს და რასისტული ფრაზებით შეურაცხყვეს. დედაქალაქელი ქომაგების ასეთი გამოხტომები იტალიაში უკვე სერიოზული განსჯის საგნად იქცა, ფეხბურთის ფედერაციამ „ლაციოს“ ხელმძღვანელობა ამის თაობაზე არაერთხელ გააფრთხილა. რომაული კლუბის განცხადებით, ისინი თავზეხელაღებულ ფანთა დაჯგუფებებთან მოლაპარაკებებს ამჟამადაც აწარმოებენ და მათ დაშოშმინებას ცდილობენ.**

საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „მონაკოს“ იტალიური „ბოლონიას“ კამერუნელი მცველის, პიერ ვომეს შეძენა სურს, ხოლო მის საფასურად 6 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს. ბოლონიელი ფეხბურთელის გადაბირების სურვილი ინგლისურმა „ლივერპულმაც“ გამოთქვა, მაგრამ ამის თაობაზე ჯერ არანაირი მოლაპარაკება არ დაწყებულა. „მონაკოს“ ფრანგი თავდამსხმელის, დავიდ ტრეზეგეს ყიდვა კი ერთდროულად სამ ევროპულ გრანდს, რომის „ლაციოს“, „რომასა“ და „მილანს“ სურს.

**ინგლისელი პოლ გესქოინი რაც დაიმტვრა, „მიდლსბრო“ ახალ ნახევარმცველს ეძებს. კანდიდატიც უკვე შეარჩიეს — „პარმას“ ნახევარმცველი ჯამპიერო მაინი, ფეხბურთელი, რომელიც „პარმას“ შემადგენლობაში იშვიათად ჩნდება და ძირითადად გუნდის სათადარიგოებში ასპარეზობს. „მიდლსბრო“ კი მიმდინარე სეზონში აშკარა კრიზისს განიცდის. და გასავარდნ ზონას მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს. თუმც მთავარი მწვრთნელის, ბრაიან რობსონის გათავისუფლებაზე ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობს.**

ბელგიური „ბრიუგეს“ კაპიტანი ვიტალ ბორკელმანსი „გენტში“ გადაბარგდა. წინასწარი ინფორმაციით, ახალმა კლუბმა 36 წლის მცველს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ვეტერანმა ფეხბურთელმა მათთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამის შემდეგ იგი, ალბათ, საბოლოოდ გამოეთხოვება დიდ ფეხბურთს. ბორკელმანსს „ბრიუგეს“ რიგებში 450 შეხვედრა ჩაუტარებია.

**ინგლისური „არსენალის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მარკ ოვერმარსმა განაცხადა, რომ თუ ლონდონური კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, მომავალი სეზონიდან, ალბათ, გუნდს დატოვებს. „თუ ასე გაგრძელდა, გაისად „არსენალში“ აღარ ვითამაშებ“ — თქვა ოვერმარსმა და დასძინა — „გამარჯვებებს ჩვეული ვარ, ჩემპიონთა ლიგის მოგებაც მსურს. „არსენალში“ კი ამის შესაძლებლობა ჯერჯერობით არ მეძლევა. ახლა 26 წლის ვარ და მაღალ დონეზე კიდევ ოთხი-ხუთი წელი თუ ვითამაშებ“. ლონდონელები პრემიერლიგის ბოლო ტურში შინ „ლივერპულთან“ დამარცხდნენ 0:1. გუნდის თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ თავის ფეხბურთელებს სერიოზულად გაესაუბრება, რათა ზოგიერთმა მათგანმა დაგეგმილი სანაკრებო ამხანაგური მატჩები გამოტოვოს და „არსენალს“ კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმაროს.**

ინგლისის ჩემპიონ და პრემიერლიგის ამჟამინდელ ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უახლოეს მდევარ „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ გასამართ პრინციპულ შეხვედრაში ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი ვერ დაეხმარება. ფეხბურთელი თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული კონკაკაფის ოქროს თასზე სათამაშოდ. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ტრინიდადელებს თხოვნით მიმართა, იორკი ინგლისში დააბრუნონ, მაგრამ როგორც ჩანს, ფეხბურთელს ნაკრებიდან არ გაათავისუფლებენ.

# სიდნეი 2000

**ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩა 211 დღე**

# სპორტი ობოლი ბიჭია?!

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე თუ ვინმესი გვეიმედება, უპირველესად ძიუდოისტებისა. დღემდე, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჩვენი ძიუდოისტების მონაგარი 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს შეადგენს (სულ 11) და სიდნეიში მატებასაც ველით, თუმცა სახელმწიფოს ასეთმა გულგრილობამ სპორტისადმი, ის ამბავი არ დაგვმართოს, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

როგორ ემზადებიან ქართველი ძიუდოისტები ოლიმპიური თამაშებისათვის? რას უნდა ველოდოთ მათგან შორეულ ავსტრალიაში? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი:

— ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგად არის და საქმე საათივით გვაქვს აწყობილი. არც ძალიან გვიჭირს და არც დალხინებული ვგრძნობთ თავს. წლეულს უკვე ორ, მოსკოვისა და სოფიის სალიცენზიო ტურნირებში მივიღეთ მონაწილეობა და ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, რომ ლიცენზიების 80 პროცენტი უკვე ხელთ გვაქვს. წინ კიდევ 4 სალიცენზიო შეჯიბრია და იქაც წარმატებების დიდი იმედი მაქვს. დაფინანსებასაც ჯერჯერობით არა უშავს. ერთი სიტყვით, მდგომარეობა ნორმალურია, ბიჭებიც ჯანზე არიან და ვარჯიშებიც შეუფერხებლად მიმდინარეობს.

**— მეოთხე წელია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბრძანდებით. როგორ შეაფასებდით ამ ხნის მანძილზე გუნდში თქვენს მოღვაწეობას?**

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და გეტყვით, რომ ჩემი მოსვლის შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. მარტო ის რად ღირს, რომ ყველაფერი სისტემაში მოექცა და ყველამ, სპორტსმენით დაწყებული მწვრთნელით დამთავრებული, იცის, რა და როგორ უნდა აკეთოს. ძიუდოს დარბაზში არ იყო გათბობა, ცხელი წყალი. ზამთრობით დარბაზი სულაც იკეტებოდა. სამწუხაროდ, სხვა სახეობებში დღესაც ასეთი ვითარებაა, ჩვენ კი სამი წელია, ეს პრობლემა აღარ გვაწუხებს.

რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, ბოლო დროს კარგად ვასპარეზობთ. საერთაშორისო სარბიელზე ნორმალური შედეგები ვაჩვენეთ. მართალია, პატარ-პატარა ჩავარდნები გვქონდა, მაგრამ მთლიანობაში დღემდე ჩემს მოღვაწეობას დადებითად შევაფასებდი.

**— ბატონო შოთა, ზოგიერთი სპეციალისტი ჩვენს გუნდს მსოფლიოში საშუალო დონის გუნდად მიიჩნევს. თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?**

— ეს მცდარი აზრია. მე არ ვიცი, ვის რა მიაჩნია, მაგრამ ამის მთქმელი სპორტში დილეტანტია და მეტი არაფერი. როგორ შეიძლება, გუნდი ჩაითვალოს საშუალო დონისად, როდესაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საერთო გუნდურ ჩათვლაში მოწინავე ოთხეულში ვართ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე გუნდად ვითვლებით.

**— ბევრი იმითაცაა უკმაყოფილო, რომ შარშან ძიუდოზე გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯა, თქვენ კი მხოლოდ ორი ლიცენზია მოიპოვეთ.**



შოთა ხაბარელი

— ამგვარად მსჯელობა არასწორად მიმაჩნია. ჯერ ერთი, არავისზე მეტი ფული არ დაგვიხარჯავს და თუ ვინმე სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით 5 ათას ლარს ზედმეტად გვითვლის, სასაცილოდ მიმაჩნია, სატირალი რომ არ იყოს. მეორეც, თუ ქართულ სპორტში არსებულ საერთო სურათს გადავხედავთ, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ლიცენზიით უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ. პატარა ბელგია, მარტო ძიუდოზე წელიწადში 8 მილიონს ხარჯავს, ჩვენ კი 150 ათასი გამოგვეყო და კიდევ პრეტენზიები აქვთ, ორი ლიცენზიის მეტი ვერ მიიღესო. მარტო წლეულს ნაჩვენები შედეგები იმის გარანტიას იძლევა, რომ ლიცენზიებს კიდევ 4 წონაში მოვიპოვებთ. იანვარში „ა“ კატეგორიის ტურნირებში, სადაც 40 ქვეყანაზე მეტი მონაწილეობდა, 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოვიგეთ. უბრალოდ გაუგებარია, ამგვარი დაფინანსებით მეტი რაღა უნდა გააკეთოს კაცმა.

**— 11 იანვარს პარლამენტში გამართული სხდომის შემდეგ სპორტის ზოგიერთი მუშაკი იმედგაცრუებული ჩანდა. თქვენც ხომ არა?**

— სამწუხაროდ, ასეა. ძალიან მწყინს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ სახელმწიფოს სპორტი, ბოდიშით და, ფეხებზე ჰკიდია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პარლამენტში გამართული სხდომის მერე, როდესაც სულ რაღაც ნახევარ საათში პარლამენტართა ნახევარზე მეტმა დარბაზი დატოვა. არადა, მათ რომ მოინდომონ... ძალიან გულსატკენია, რომ მაღალ ეშელონებში მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ. კი, გასაგებია, ქვეყანას უჭირს, მაგრამ არა ისე, რომ საქართველოში სპორტი ჩაკვდეს. ისიც ხომ უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ დღეს უფულობას გამო ვერ მივდივართ სხვადასხვა შეჯიბრებაზე, ხვალ შეიძლება ფინანსები გამოჩნდეს, მაგრამ სპორტსმენები აღარ გვეყოლება. სწორედ ეს არის ცუდი — სახელმწიფო არც ქართული სპორტის ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.

საბედნიეროდ, ბოლო დროს ძალიან გვეხმარება ოლიმპიური კომიტეტი. ჯერ წლის ბიუჯეტი არ დაუმტკიცებიათ, სეოკ-მა კი გამონახა სახსრები ჩვენს დასაფინანსებლად. სპორტის დეპარტამენტიც გვიმართავს ხელს.

**— როგორ ემზადებით მომავალი ოლიმპიადისთვის?**

— ჯერჯერობით მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. 15 სექტემბრამდე ყველა წუთი და წამი უკვე გათვლილი გვაქვს. მარტის ბოლომდე სალიცენზიო ტურნირებში მივიღებთ მონაწილეობას, შემდეგ სამეტაპიან შეკრებას გავივლით ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მაისში, პოლონეთში გაიმართება, მერე კი უკვე სასიდნეოდ დავიწყებთ მზადებას.

იმედი მაქვს, რომ მზადებაში ხელს არაფერი შეგვიშლის, წინააღმდეგ შემთხვევაში სიდნეის შედეგებზე პასუხს აღარ ვაგებთ.

**— ევროპის ჩემპიონატზე რა შედეგებს გეგმავთ?**

— არ არის გამორიცხული, რომ პოლონეთში ძირითადი შემადგენლობა არ წავიყვანოთ. ეს ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ.

**— სიდნეიში ქართველი ძიუდოისტებისგან რას უნდა ველოდოთ?**

— ოლიმპიური თამაშები ისეთი სპორტული ღონისძიებაა, რომ წინასწარ ვერაფერს იწინასწარმეტყველებ. თუმცა ჩვენი გუნდის პოტენციალიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მწვანე კონტინენტიდან ხელცარიელნი არ უნდა დავბრუნდეთ.

**— სიდნეიში 66 კგ წონაში რომელი გიორგი იასპარეზებს?**

— ჩვენ ვაზაგაშვილისა და რევაზიშვილის შესაძლებლობები ზედმიწევნით კარგად ვიცით, ასე რომ, ამ საკითხს უმტკივნეულოდ მოვაგვარებთ.

**— ერთ-ერთმა ძიუდოისტმა განაცხადა, მე ჩემი პირადი მწვრთნელი მყავს და როგორც ჩვენ გადავწყვეტთ, ისე იქნებაო.**

— არ ვიცი, რომელ მწვრთნელსა და სპორტსმენზეა საუბარი, მაგრამ ვინც ამას ამბობს, ძალიან ცდება, თანაც ეთიკის ნორმებს არღვევს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჯერ არის მთავარი მწვრთნელი და მერე მწვრთნელთა საბჭო. სპორტსმენის გადასაწყვეტი არაფერი არ არის და არც შეიძლება იყოს. მისი საქმე ტატამზე კარგად ასპარეზობაა.

**— ბატონო შოთა, როგორ ფიქრობთ, სპორტსმენობა უფრო ძნელია თუ მწვრთნელობა?**

— რა თქმა უნდა, მწვრთნელობა. როცა მოქმედი სპორტსმენი ხარ, მაშინ პასუხს მარტო შენს თავზე აგებ, ხოლო მწვრთნელობისას მთელი გუნდის ბედ-იღბალი შენ გეკისრება და მეტ წილ პასუხისმგებლობასაც გრძნობ.

**— ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, შეცვლიდით რაიმეს?**

— მთელი ცხოვრება ძიუდოს შევალიე. ისე მიყვარს ჩემი საქმე და ისე მაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ წარმოუდგენლადაც მიმაჩნია უმისოდ არსებობა. ასე რომ, ალბათ, არც არაფერს შევცვლიდი და ისევ ამ გზას დავადგებოდი.

**— დაბოლოს. ორიოდე სიტყვა თქვენი ვაჟის შესახებ. როგორ ფიქრობთ, აჯობებს მამას?**

— მამუკა ძალიან მონდომებულია და ინტენსიურადაც ვარჯიშობს. იმას კი ვერ დავიჩემებ, უეჭველად მაჯობებს-მეთქი. მაგრამ არა მგონია, ჩემზე ძლიერი მოჭიდავე დადგეს. თუმცა ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

**ბაჩა ბერიძე**

# შაკილ ონილი: „დრიმ თიმი“ უჩემოდაც მოიგებს

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტრადიციულად იასპარეზებს „დრიმ თიმად“ წოდებული ამერიკელ კალათბურთელთა ნაკრები, რომელიც ამჯერადაც უძლიერესი პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული. გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალად სპეციალისტებმა ერთხმად მიიჩნიეს ტიმ დანკანი, ჯეისონ კიდი და კევინ გარნეტი, თუმც კი „დრიმ თიმის“ შემადგენლობა უფრო სოლიდური გახდებოდა, სიდნეიში გამოსვლაზე უარი რომ არ ეთქვა ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს, შაკილ ო ნილს. გთავაზობთ ინტერვიუს ლოს ანჯელეს „ლეიკერსის“ ცენტრალურ თავდამსხმელთან, რომელიც ჟურნალ „SLAM“-ში გამოქვეყნდა.

**— შაკ, რა არის ახალი თქვენს ცხოვრებაში?**

— ერთ კვირაში გამოდის ჩემი მესამე ალბომი „THE WHOLE WORLD IS MINE“, რომლის ჩაწერაში მონაწილეობდნენ „BLACKSTREET“-ი და „EMINEM“-ი. მარტში კი მიწვეული ვარ ჯონ ლენდისის ფილმში „DOUBLE ATTACK“, სადაც ჩემი პარტნიორები იქნებიან მარტინ ლოურენსი და ბენ აფლეკი. სხვა მხრივ კი ყველაფერი ძველებურადაა.

**— ფილ ჯექსონის მისვლის შემდეგ „ლეიკერსი“ ლიგის უდავო ფავორიტად იქცა. გუნდში გლენ რაისი და კობი ბრაიანტიც თამაშობენ. ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტებად საპლეიოფო ბრძოლაში?**

— ჟურნალისტებს ერთი ცუდი რამ გჩვევიათ. მუდამ ერთსა და იმავე შეკითხვებს სვამთ. უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ „ლეიკერსის“ მთავარი კონკურენტი თავად „ლეიკერსია“. ჩვენ გვყავს ლიგაში უძლიერესი შემადგენლობა, უძლიერესი სათადარიგოთა სკამი და უძლიერესი მწვრთნელი. თუკი ტრავმებმა არ გაგვაწამეს, ჩემპიონობა განაღდებული გვაქვს, თუმც კი არ შემიძლია არ აღვნიშნო მაიკ დანლივის „პორტლენდი“, ჩემპიონი „სან ანტონიო“ და „ინდიანა“. ამ უკანასკნელს ხომ თვით ლარი ბერდი უდგას სათავეში. ისე კი, ძალიან მინდა, რომ პლეი ოფში სან ანტონიოს შევხვდეთ. შარშანდელი მარცხისთვის სრულფასოვან რევანშს ავიღებთ. მსდიონ, რამდენიც უნდათ, „ორმაგმა კოშკებმა“- (დანკან-რობინსონის დუეტი), ჩვენ მათ მიწასთან გავასწორებთ.

**— ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის? „სპერსი“ არცთუ ურიგოდ ასპარეზობს, თან მათ შონ ელიოტი აკლიათ.**

— ელიოტი არ არის ბერდი ან ჯორდანი. სან ანტონიოს უიმისოდაც კარგი კალათბურთელები ჰყავს. თუმცა კი ერთ-ერთს სულ მალე, ალბათ, პენსიაზე გასვლა მოუწევს.

**— ვის გულისხმობთ?**

— „ადმირალს“ (დევიდ რობინსონი). სხვისი დახმარებით მოპოვებული საჩემპიონო ბეჭედი უნდა შეიშნოვოს და დროზე გაეცალოს ლიგას. რომ არა დანკანი, სან ანტონიოს ძალიან იოლად დავამარცხებდით.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ სიდნეიზეც...**

— რა ხდება სიდნეიში?

**— „დრიმ თიმზე“ გელაპარაკებით.**

— ეს სულ სხვა თემაა. მე უკვე მივიღე მონაწილეობა ორ დიდ ტურნირში — 1994 წელს ტორონტოს მსოფლიოს ჩემპიონატში და ორი წლის შემდეგ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში. იცით, ალბათ, რომ მე ამჟამადაც ვიყავი ჩვენი გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ პირადი მოსაზრებების გამო უარი ვთქვი სიდნეიში თამაშზე.

**— მიზეზს ხომ არ დააკონკრეტებთ?**

— მიზეზი სულ უბრალოა — მირჩევნია, ოჯახთან ერთად დავისვენო, ვიდრე სიდნეიში არაფრის მომცემ თამაშებზე გავემგზავრო. „დრიმ თიმი“ უჩემოდაც იოლად დაამარცხებს მეტოქეებს. როდესაც გუნდში გყავს ტიმ დანკანი, კევინ გარნეტი, ჯეისონი კიდი და ალონზო მურნინგი, ჩათვალე, რომ ოქროს მედლები უკვე ჯიბეში გაქვს. თანაც, თუ არ ვცდები, სიდნეიში არ იქნებიან საბონისი, შრემპფი და დივაცი, ასე რომ დასახული ამოცანა ერთიორად გვიიოლდება. 1996 წელს ფინალში იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ თითქმის არ გვითამაშია მე, გრანტ ჰილსა და კარლ მელოუნს, მაგრამ ჩვენმა გუნდმა მაინც საკმაოდ დამაჯერებლად სძლია მეტოქეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ სხვაობა პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია.

**— შაკ, შენი აზრით, ვინ არის ნბა-ს უძლიერესი მოთამაშე — ტიმ დანკანი თუ ალენ აივერსონი?**

— თქვენ უკვე იცით ჩემი პასუხი, რა თქმა უნდა, მე.

**ზურაბ თალაქვაძე**




შაკილ ონილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში



### ალექსანდრე ცერცვაძე

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, 1998 წლის თურქეთის „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი

უცოლო

*სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს*

*1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?*

*2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან*

*3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?*

*1. მოჭიდავეობა ჩემი სურვილი და მოწოდება არ ყოფილა. უბრალოდ, დედაჩემს უნდოდა, ბავშვობაში სპორტით დავკავებულიყავი და ჭიდაობაზე მიმიყვანა. დროთა განმავლობაში კი ძალიან შემიყვარდა ეს სახეობა და გადავწყვიტე, ბოლომდე გავყოლოდი.*

*2. პირველად, როცა ჭიდაობაზე მიმიყვანეს, პირველ კლასში ვიყავი. დარბაზში რომ შევედი, თვალში მეცა, თუ როგორ ვარჯიშობდენ „ფინკებით" (საჭიდაო ფორმა) მოზრდილი ფალავნები. მეორე დღეს დედაჩემს შევუჩნდი, გინდა თუ არა, ფული მომეცი, მეც ფორმა უნდა ვიყიდო-მეთქი. ფორმა არა და, სპორტული მაღაზიიდან შინ მისულს ქალის საცურაო კოსტუმი შემრჩა ხელთ.*

*3. უპირველეს ყოვლისა, მედლისთვის ბრძოლას და დიდ სიხარულს.*

## ახალი ამბები სიდნეიდან



ჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰ

**სამგზის** ოლიმპიურ ჩემპიონს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1956, 1960, 1964) დოუნ ფრეზერს ხვდა წილად ოლიმპიური ცეცხლის ანთების პატივი — მან მნიშვნელოვნად გაუსწრო გამოკითხვაში მეორე ადგილზე გასულ სპრინტერს — კეტი ფრიმანს. მესამე ადგილზე გავიდა კრიკეტის ცოცხალი ლეგენდა სერ დონალდ ბრადმანი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ოლიმპიური ცეცხლის ანთების ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა... მსახიობი პოლ ჰოგანი (ნიანგი დანდი), მაგრამ უკანასკნელ მომენტში მან უარი განაცხადა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალში მონაწილეობაზე. გამოკითხვაში ასევე დასახელებულნი იყვნენ პატრიკ რაფტერი, მომღერლები ოლივია ნიუტონ ჯონი და კაილი მინოუგი და მსახიობები ნიკოლ კიდმანი და მელ გიბსონი.

* * *

**გამოცხადდა** ამერიკელ კალათბურთელთა („დრიმ თიმი") გუნდის სასტარტო ხუთეული, რომელშიც შევიდნენ: ჯეისონ კიდი (ფინიქსი), რეი ალენი (მილუოკი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტიმ დანკანი (სან-ანტონიო) და ალონზო მურნინგი (მაიამი). უკანასკნელის თქმით, ამერიკელებს ეყოლებათ ყველაზე ძლიერი ნაკრები „დრიმ თიმ"-1-ის შემდეგ, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ლარი ბერდი, „მეჯიქ" ჯონსონი, მაიკლ ჯორდანი, კლაიდ დრექსლერი და კრის მულინი. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ამერიკელ კალათბურთელებს წაგებული აქვთ მხოლოდ ორი შეხვედრა და ორჯერვე მათი მძლეველი სსრკ-ს ნაკრები იყო.

* * *

**რუსეთის** ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა — ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ალექსანდრ კარელინმა განაცხადა, რომ იგი მიიღებს მონაწილეობას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. ოთხი თვის უვარჯიშებელი კარელინი ამჟამად იმყოფება ტაშკენტში, სადაც რუსეთის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად გადის მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთ ეტაპს. ალექსანდრ კარელინს თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არცერთი ოფიციალური შეხვედრა არა აქვს წაგებული.

მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე სიდნეიში (ავსტრალია) ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას გაიხსნება ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი, რომელიც გააერთიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის 500-მდე ჭაბუკსა და გოგონას. საქართველოდან ზემოაღნიშნულ ბანაკში შეიძლება გაიგზავნოს ერთი გოგონა, რომელიც უნდა იყოს 16-18 წლის და კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.

მსურველები დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით სეოკ-ის ოფისში 1 მარტამდე.

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №65.

ტელ: 95-20-79

# არტურას კარნიშოვასი: იმედი მაქვს, ბლეიზერსი ფინალში ვერ გააღწევს



*არტურას კარნიშოვასს ინტერვიუ კარგა ხანს ვერ ჩამოვართვი. ჯერ იყო და „ულქერთან" ბრწყინვალედ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ „ფორტიტუდოს" მწვრთნელებმა თავიანთ წამყვან მოთამაშეებს დასვენების უფლება მისცეს და კარნიშოვასმა, სტოიან ვრანკოვიჩმა და გრეგორ ფუჩკამ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი გამოტოვეს. თუმცა კი „ფორტიტუდოს" დიდად არ დაეტყო ლიდერების არყოფნა და საკმაოდ დამაჯერებლად სძლია თავის მოწინააღმდეგეს.*

*მომდევნო შეხვედრაში კი ბოლონიელებმა სრული შემადგენლობით ითამაშეს და როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი იოლი გამარჯვება მოიპოვეს. იმავე დღეს დავუკავშირდით „ფორტიტუდოს" პრესცენტრის უფროსს მიკელე მონდონიკოს, რომელმაც გვამცნო: არტურასი თანახმაა, ინტერვიუ მოგცეთ, ოღონდ მხოლოდ ოც წუთს დაგითმობთ...*

**— არტურას, გამარჯობათ. საქართველოდან გაწუხებთ.**

— მიკელემ გუშინ შემატყობინა თქვენს შესახებ და სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი. საქართველოდან ჩემთვის ჯერ არავის უთხოვია ინტერვიუ. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

**— უპირველესად გვაინტერესებს, როგორ მიდის „ფორტიტუდოს" საქმეები იტალიის ჩემპიონატსა და ევროლიგაში და საერთოდ, როგორ ფორმაში იმყოფებით?**

— „ფორტიტუდო" საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს იტალიის ჩემპიონატში. 20 მატჩის შემდეგ 19 მოგებით ერთპიროვნულად ვლიდერობთ და საგრძნობლად ვუსწრებთ მეორე ადგილზე მყოფ „კინდერს". გუნდი აშკარა პროგრესს განიცდის და სიმართლე გითხრათ, ეს არც მიკვირს. ჩვენს გუნდში ხომ საკმაოდ ძლიერი კალათბურთელები თამაშობენ — მაიერსი, ფუჩკა, სტოიან ვრანკოვიჩი. ამ უკანასკნელმა სამი წელი ნბა-ში გაატარა. ლოი ვოიტთან ერთად იგი „კლიპერსის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. მართალია, გვაკლია მაღალი დონის გამთამაშებელი, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მომავალი სეზონიდან „ფორტიტუდოს" რიგებში იხილავთ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გამთამაშებელს — პოცეკოს, რომელიც ამჟამად „ვარეზეში" თამაშობს. მე საუკეთესო ფორმამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია, თუმცა იმედი მაქვს, რომ ევროლიგის დასკვნითი ეტაპისთვის სრულ წესრიგში ვიქნები.

**— სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ლიტვის ნაკრები საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდა. თქვენი მოწინააღმდეგეები იქნებიან ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონი — იტალია, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი საფრანგეთის ნაკრები და „დრიმ თიმი". როგორ შეაფასებდით კენჭისყრის შედეგებს?**

— თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ევროპას ნბა-მდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, ასე რომ, „დრიმ თიმს" თავიდანვე განაღდებული აქვს პირველი ადგილი არა მარტო ქვეჯგუფში, არამედ ტურნირშიც. ფრანგებისა და იტალიელების დამარცხება კი შეგვიძლია. იმედი მაქვს, რომ ლიტვის ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს, რაც ფინალამდე ამერიკელებთან შეხვედრას თავიდან აგვაცილებს.

**— კი მაგრამ, ფინალამდე საკმაოდ ბევრი შეხვედრაა...**

— რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იქნება ფინალში გასვლა, რადგან მეორე ჯგუფში იუგოსლავიელები, ესპანელები და რუსები არიან. არც მასპინძლებს ეყოლებათ ურიგო ნაკრები, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ლიტვას ამერიკელების გარდა ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია, თუმც კი ჩვენი წარმატებული თამაში ბევრ სხვა რამეზეც იქნება დამოკიდებული.

**— მაგალითად, იმაზე, ითამაშებს თუ არა სიდნეიში არვიდას საბონისი...**

— გეთანხმებით. საბასი ჩვენი გუნდისთვის უდიდეს ძალას წარმოადგენს. ჯერ არ არის ცნობილი, ითამაშებს თუ არა იგი სიდნეიში, მაგრამ იმედი მაქვს, რომ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი", რომლის ღირსებასაც არვიდასი იცავს, პლეი ოფის ფინალში ვერ გავა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩამოვა საბონისი კაუნასში და ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადება. ძალიან დაგვეხმარება ილგაუსკასიც, რომელიც ამჟამად დაშავებულია და კლივლენდში სარეაბილიტაციო კურსს გადის.

**— თქვენი აზრით, წლეულს ვინ მოიგებს საპლეიოფო სერიებს?**

— გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ფილ ჯექსონის „ლეიკერსს" აქვს. ხუმრობა ხომ არ არის — ონილი, ბრაიანტი და რაისი ერთად. გარდა ამისა, ლოს ანჯელესს სხვა გუნდებზე უკეთესი სათადარიგოთა სკამი ჰყავს. ურიგოდ არ თამაშობს „ბლეიზერსიც", რომელიც ლიგაში ყველაზე თანაბარი შემადგენლობით გამოირჩევა. თავისი ტიტულის დაცვას შეეცდება სან ანტონიოც, თუმცა შონ ელიოტის არყოფნამ ძალიან დაასუსტა ჩემპიონი. აღმოსავლეთიდან კი, ალბათ, „ჰიტი" ან „პეისერსი" გავლენ ფინალში.

**— თქვენ არასოდეს გიცდიათ ნბაში თამაში?**

— ერთხელ კი ამიყვანეს დრაფტზე, მაგრამ სამწუხაროდ, მილუოკიმ სხვა კალათბურთელი მამჯობინა. მას მერე, სიმართლე გითხრათ, არც გამჩენია ნბაში თამაშის სურვილი, თანაც ამერიკაში ჩემი დონის მოთამაშეს საკმაოდ ცოტას უხდიან, ევროპაში კი გაცილებით დიდ გასამრჯელოს მაძლევენ.

**— არტურას, ხომ ვერ დაგვისახელებდით ევროპისა და მსოფლიოს სასტარტო ხუთეულებს?**

— ევროპაში პირველ-მეორე ნომრებად ვათამაშებდი ბოდიროგასა და რიგოდოს, ფორვარდებად — ტარლაჩსა და მენეგინს, ცენტრად კი უდავოდ ჟელკო რებრაჩას. რაც შეეხება მსოფლიოს სასტარტო ხუთეულს, მასში, ჩემი აზრით, ვერც ერთი ევროპელი ვერ მოხვდება. გამთამაშებლად ავიყვანდი ჯეისონ კიდს, მეორე ნომრად — ვინს კარტერს, მესამედ კი გრანტ ჰილს. ძალისმიერ ფორვარდად უეჭველად ტიმ დანკანს გავამწესებდი, ხოლო ცენტრალურ თავდამსხმელად — ალონზო მურნინგს.

**ზურაბ თალაკვაძე**




## ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე




XIX ოლიმპიური თამაშები. მეხიკო. 1968 წელი (18 მონაწილე. 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი)

1. ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) — I
2. ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი) — I
3. რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა) — II
4. გურამ საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II
5. შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) — II
6. ლევან მოსეშვილი (კალათბურთი) — II
7. გურამ კოსტავა (ფარიკაობა) — III
8. ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III
9. დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა) — III
10. ანზორ კიკნაძე (ძიუდო) — III
11. ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო) — III
12. ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა) — IV
13. რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — V
14. როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა) — V
15. ბორის პოლუხიანი (წყალში ხტომა) — VI
16. ზარბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — VI
17. შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — IX
18. ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — მეოთხედფინალი

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურმა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"


**„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს**

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
გუნდის ახალბედამ ბარიკელომ იტალიურად მიმართა მედიას და აღფრთოვანება გამოთქვა იმით, რომ სკუდერიას ღირსებას დაიცავს, „ფერარი“ კი მას პირველი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარება.

შუმიმ, რომელიც „ფერარის“ გუნდში მე-5 სეზონს ატარებს, პირველად წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა იტალიურად. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ოპტიმისტურად აცხადებს, რომ წლეულს მაინც შეძლებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

სკუდერია ტრადიციულად ფიორანოსა და მუჯელოს ტრასებზე შეუდგა ბოლიდის გამოცდას. გუნდი იმედოვნებს, რომ პირველ რბოლას სრულ მზადყოფნაში შეხვდება და სეზონს გამარჯვებით დაიწყებს.

**ალეკო ჭაბუკიანი**


წლეულს ამ ბოლიდით იქროლებენ მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო

# ბატონს არ აბატონებენ

ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა პილოტს, ჯეისონ ბატონს შეიძლება რბოლებში ასპარეზობა წლეულს არც ეღირსოს.

20 წლის ინგლისელმა ჯერ სუპერლიცენზიის მისაღები ტესტი უნდა ჩააბაროს, რაც ზედიზედ ორი დღის მანძილზე ფორმულა 1-ის ბოლიდით 300 კილომეტრის გავლაში მდგომარეობს. თუმცა საკმარისი არც ეს არის — „BMW უილიამსის“ პილოტმა სპეციალური 26-კაციანი კომისიის 18 წევრის მოწონებაც უნდა დაიმსახუროს.

„თუ კომისიის 9 ან მეტი წევრი მის წინააღმდეგ იქნება, ბატონს ავსტრალიის გრან პრიზე ვერ ვიხილავთ, თუმც ვერ წარმომიდგენია, რომ ეს შეიძლება მოხდეს“ — განაცხადა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ.

„პირადად მას არ ვიცნობ, შეიძლება ძლიერი მრბოლიც კი იყოს. არა მგონია, ფრენკ უილიამსს ისე აეყვანა თავის გუნდში, მის შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო. თანამედროვე მანქანები თავისი კომპიუტერებით და სხვა ტექნოლოგიური სიახლეებით ახალგაზრდა პილოტებისთვის ზედგამოჭრილია. თანაც ბატონი გამოცდილ გუნდში იქნება, სადაც მას ყველა დაეხმარება“ — დაუმატა მოსლიმ.

ამბიციური ბატონი, რომელიც ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონად გახდომას ლამობს, ორშაბათს სამხრეთაფრიკულ „კიალამის“ ტრასაზე მცირე ავარიაში მოხვდა. მას 260 კმ/სთ-ით მიმავალ „უილიამსს“ ჩიტი დაეჯახა, თუმცა ბოლიდი სერიოზულად არ დაზიანებულა.

ბატონმა, რომელიც გუნდში იტალიელი ალექს ძანარდის ნაცვლად მივიდა, სამხრეთ აფრიკაში 63 წრის გავლა მოახერხა და ტესტებს თვის ბოლოს, ჯერ ხერესის, მერე კი მშობლიურ სილვერსტოუნის ტრასაზე გააგრძელებს.

ცურვა

# ტომპსონის ხუთიანები


ჯენიფერ ტომპსონი

სადაცაა დასრულდება მოცურავეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. ბოლოსწინა, მეთერთმეტე ეტაპს უმასპინძლა პარიზმა, სადაც 49 ქვეყნის 300-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას ამერიკელმა ჯენი ტომპსონმა და ბრიტანელმა ჯეიმს ჰიკმანმა მიაღწიეს.

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯენი ტომპსონმა, რომელიც იტალიურ იმპერიაში მეოთე ეტაპიდან შეუერთდა მსოფლიოს თასს, სწრაფად დაიბრუნა ფორმა და პარიზში, ისევე, როგორც იტალიაში, ხუთი გამარჯვება მოიპოვა, თანაც აქედან ერთი — მსოფლიოს რეკორდით. ასეთი შედეგით ხვდება იგი ათენის პატარა აუზის მსოფლიოს ჩემპიონატს.

— მარტში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვალ და მხოლოდ ამის შემდეგ მოვემზადები სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის — განაცხადა ტომპსონმა.

ამერიკელმა გაიმარჯვა ყველგან, სადაც კი გაცურა — ჯერ 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით, მერე იმავე მანძილზე თავისუფალი სტილით და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც. 100 მეტრზე ბატერფლაით კი, 1998 წლის 1 დეკემბერს ტეხასში დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი (56, 90) გააუმჯობესა — 56, 80.

ეს ტომპსონის მეათე ინდივიდუალური მსოფლიოს რეკორდია. ასეთი შედეგები მან ორჯერ „დიდ“ და რვაჯერ „პატარა წყალში“ აჩვენა.

აღნიშვნის ღირსია ამერიკელ ქალთა მონაგარიც. მათ ათი ოქროდან ცხრა არავის დაუთმეს.

რაც შეეხება ბრიტანელ ჯეიმ ჰიკმანს, მან 100 და 200 მეტრზე ბატერფლაითა და იმავე დისტანციებზე კომპლექსურ ცურვაში იმარჯვა. 200 მეტრზე ბატერფლაით იგი მსოფლიოს რეკორდთან ახლოს იყო და მართალია, მას ვერ შესწვდა, მაგრამ წლის საუკეთესო შედეგი მაინც აჩვენა (1, 52, 26). ეს მაჩვენებელი ნახევარი წამით უარესია მის მიერვე, იმავე აუზში ორი წლის წინ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდზე. ეტყობა, ამიტომაც თქვა ჯეიმმა, ჩემი საყვარელი აუზია, აქ ყოველთვის სასიამოვნო ატმოსფერო სუფევსო.

ასეთი შედეგებით ფრთაშესხმული ჰიკმანი იმედოვნებს, რომ წარმატებით იასპარეზებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე მაი[illegible] კლიმი იქნება.

ტომპსონისა დ[illegible] [illegible]იკმანისგან განსხვავებით, წარუმატებელი ეთქმის ჰოლანდიელი ვარსკვლავის, პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდის გამოსვლას. ჰუუგენბანდი, რომელიც ევროპის ექვსგზის ჩემპიონია, თავის საუკეთესო შედეგებს ვერც კი მიუახლოვდა. მან მხოლოდ მეორე და მესამე ადგილები დაიკავა შესაბამისად 200 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

გამოსარჩევია მასპინძელთა წარმატებაც. მათ ათი მედალი მოიგეს, აქედან 4 ოქრო, 3-3 ვერცხლი და ბრინჯაო.

გიგა გურასაშვილი

ბიატლონი

# ოლიმპიური ჩემპიონი ციხეშია

ცნობილი პიროვნებების სეხნია და მოგვარე აქამდე თვითონაც არ იყო დაკარგული კაცი. 36 წლის ალექსანდრ პოპოვმა 1988 წელს ბიატლონში კალგარის ოლიმპიადა მოიგო და ექვსჯერ მსოფლიოს ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი. სპორტსმენობას რომ შეეშვა, ბელარუსს ბიატლონისტთა ნაკრების საჭე ჩააბარეს და ის იყო, ნორვეგიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა წასულიყო, რომ ვირის აბანოში უკრეს თავი. რამდენიმე დღით ადრე ბიატლონის ფედერაციას პოპოვისთვის ნაღდი 40 000 დოლარი სასოებით ჩაუბარებია, ნორვეგიაში ჩვენი გოგო-ბიჭები არ დაგვიმშიოო, ახლა კი ირკვევა, რომ მწვრთნელს ეს ფული მოჰპარეს. თუმცა პოლიცია პოპოვს სიტყვაზე არ ენდო და იგი გამოძიების დასრულებამდე საკანში მოათავსა. მინსკელი სამართალდამცავების აზრით, ფული საეჭვო ვითარებაში აორთქლდა. თუ პოპოვს ქურდობა არ დაუმტკიცდა, ხომ კარგი, თუ არა და...

დავით გულუა

ჰოკეი

# ეშმაკ მეკარეს ჩაეთვალა

15 თებერვალი

**ოტავა — კაროლინა 5:1**

2:0 1:0 2:1

1:0 მაკიჩერნი 14'52 (21); 2:0 პროსპალი 19'37 (15); 3:0 ალფრედსონი 37'48 (10); 3:1 პრეტი 41'22 (3); 4:1 ჰოსა 47'25 (20); 5:1 პროსპალი 53'58 (16)

**ვაშინგტონი — კოლორადო 2:1**

0:0 2:1 0:0

1:0 საიმონი 27'32 (18); 1:1 ჰეიდუკი 31'13 (26); 2:1 ოუთსი 39'59 (10)

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 4:2**

0:0 2:1 2:1

1:0 ნემჩინოვი 23'52 (7); 2:0 ელიაში 32'13 (25); 2:1 ლანგკოუ 35'33 (12); 3:1 ბროდო 49'43 (1); 3:2 რეკი 51'59 (21); 4:2 ნიდერმაიერი 55'31 (6)

**აილენდერსი — სან ხოსე 1:4**

0:1 1:2 0:1

0:1 რატიე 18'25 (2); 0:2 სტიუარტი 21'49 (6); 0:3 გრენატო 22'41 (4); 1:3 ჩერკავსკი 35'20 (23); 1:4 სტიუარტი 49'54 (7)

**ტამპა — რეინჯერსი 2:2**

1:1 0:0 1:1 0:0

0:1 ნედვედი 5'43 (18); 1:1 ურინერი 19'58 (6); 1:2 ლიჩი 49'46 (3); 2:2 ლეკავალიე 58'37 (16)

**ნეშვილი — ედმონტონი 1:2**

0:2 1:0 0:0

0:1 დევერო 9'37 (4); 0:2 რ. მიურეი 16'23 (5); 1:2 იაჩმენევი 26'54 (11)

**სენტ ლუისი — ატლანტა 4:1**

1:0 2:1 1:0

1:0 დემიტრა 13'29 (25); 1:1 ფერარო 26'03 (14); 2:1 ჰანდზუსი 31'41 (15); 3:1 ბარტესკო 32'16 (15); 4:1 ჰანდზუსი 57'05 (16)

REUTERS ოტავადან


კაროლინელმა ნოლან პრატმა (4) ოტაველ ჯო ქიუნოს იერიში ჩაუშალა

...ფილადელფიისა და ნიუ ჯერსის შეხვედრის 50-ე წუთი მიმდინარეობდა. „ეშმაკთა“ კაპიტანმა სკოტ სტივენსმა წესების დარღვევის გამო ორწუთიანი ჯარიმა მიიღო, მაგრამ რაკი შაიბას „მფრინავები“ ფლობდნენ, თამაში არ შეჩერებულა. ამასობაში თავის ზონაში მყოფმა სკოტ ლანგკოუმ, რომელსაც მეტოქე უშლიდა ხელს, შაიბა ისე მოუხერხებლად მოიქნია, რომ იგი მოულოდნელად კარისკენ გასრიალდა. მეკარე კი ადგილზე არ იყო, რადგან ბრაიან ბუშეს ნაცვლად ყინულზე მეექვსე მოთამაშე გავიდა. აი, ასე გავიდა სტუმართა კარში მესამე გოლი, რომელიც გადამწყვეტიც აღმოჩნდა, ხოლო როდესაც გაოცებულმა მსაჯებმა ამ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი ნახეს, აღმოჩნდა, რომ ნიუჯერსელთაგან შაიბას ბოლოს სწორედ ბროდო შეეხო. ბედის წყალობით, აი, ასე „გაიტანა“ მეკარემ გამარჯვების გოლი, თუმც მარტინისთვის ეს პირველი როდია. 1997 წელს თასის მერვედფინალში მონრეალის დაცარიელებული კარი მან ბოლო წამებზე დალაშქრა.

მატჩის წინ ფილადელფიამ ორი ახალი მოთამაშე შეიძინა. „მფრინავებმა“ ჯერ თავის დროზე ცნობილ შემტევ მცველ ზარლი ზალაპსკისთან გააფორმეს კონტრაქტი. მას ორი წელია, ლიგაში არ უთამაშია. 31 წლის ზალაპსკი წლეულს იჰლ-ში ასპარეზობდა, შარშან კი ევროპაში. მანამდე ნჰლ-ში ჩატარებულ 625 თამაშში 99 გოლი და 283 პასი მოუგროვებია. მერე ფილადელფიამ კიდევ ერთი ტანსრული და ძალისმიერი ფორვარდი, ჯინო ოჯიკი შეისყიდა აილენდერსიდან. მან ვეტერანი ფორვარდი მიკაელ ანდერსონი შეცვალა. 29 წლის ოჯიკიმ, რომელიც პოლიციელის ფუნქციებს წარმატებით ასრულებს (წლეულს 46 თამაშში 5 გოლი და 90 საჯარიმო წუთი) და „მფრინავებს“ კიდევ უფრო აგრესიულს გახდის, პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი და ნიუჯერსელ ლაილ ოდელეინს წაეჩხუბა. ზალაპსკიმ კი დებიუტი პასით აღნიშნა.

რაც ახალი წელი დაიწყო, ვაშინგტონზე უკეთ ლიგაში ერთი გუნდიც ვერ თამაშობს. საამისოდ გუნდის თავკაცმა კარგად ცნობილ, მაგრამ შეუმჩნეველ ხერხს მიმართა — ძველ, კონსერვატულ, პოზიციურ დაცვით სქემას დაუბრუნდა და, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გაუმართლა. დედაქალაქელები თავიანთ მეკარე ოლაფ კოლციგის ჩინებული თამაშის წყალობით მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებენ. ამჯერად „კეპიტალსმა“ კოლორადოს ერთ გოლზე მეტი არ გაატანინა, ხოლო შეტევაში კვლავ კრის საიმონმა იყოჩაღა. ადრე კოლორადოში მხოლოდ ჩხუბის სპეციალისტად ცნობილი საიმონი (1+1) წლეულს გარდაიქმნა და სამშაბათს პირადი რეკორდი კიდევ ერთი შაიბით გააუმჯობესა. დაგვეთანხმებით, 18 გოლი პოლიციელისთვის ჩინებული შედეგია. ჩემპიონატიც ხომ ჯერ არ დამთავრებულა.

ტაბორი, ლიბერეცი — ეს უცნობი გეოგრაფიული ადგილები წლეულს ჩრდილოამერიკელების, კერძოდ რეინჯერსის თაყვანისმცემლებისთვის ერთობ ახლობელი გახდა. ან მეტი რა გზა აქვთ, როცა ლიგის ყველაზე მდიდარ გუნდში სწორედ ჩეხეთის ამ პატარა ქალაქებში დაბადებული ჰოკეისტები ლიდერობენ. გასულ უქმეებზე ახალბედა იან ჰლავაჩმა ორ მატჩში 4 გოლი (აქედან ერთში ჰეთ თრიქი) მიითვალა, ამჯერად კი პეტრ ნედვედმა იყოჩაღა (1+1), რომელმაც გოლის გარდა ბრაიან ლიჩსაც გაატანინა (პირველი გოლი ტრავმის მორჩენის მერე), თუმც ნიუიორკელებმა ტამპაში ქულა მაინც დაკარგეს, მანამდე კი კიდევ ერთ აუტსაიდერ აილენდერსთან დამარცხდნენ, რასაც, ალბათ, პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი რეინჯერსი სულაც არ გეგმავდა.

არ არის მაკინისი, არც ტარჯონია, მაგრამ სლოვაკური სამეული ხომ სახეზეა. ჰოდა, სენტ ლუისს ამ ბიჭების ძალისხმევით არაფერი უჭირს. მიხალ ჰანდზუსმა ბოლო 9 მატჩში მერვედ მოაგებინა „ბლუზმენებს“. მან ორივე შაიბა უმცირესობაში გაიტანა, სეზონში კი სულ ოთხი დაუგროვდა, რითაც ნიუჯერსელ ჯონ მედენს გაუტოლდა. მისმა უფრო ცნობილმა თანამემამულემ, პავოლ დემიტრამ, რომელმაც უქმეებზე ჰეთ-თრიქი შეასრულა, ამჯერად 2(1+1) ქულა მიითვალა, მეოთხე გოლის ავტორი კი ასევე სლოვაკი ლუბიშ ბარტესკოა.

თებერვალში წაუგებლად მოასპარეზე ედმონტონი (+4=2-0) დივიზიონის სათავეში მოექცა, რაც „ოილერსმა“ წლეულს პირველად მოახერხა.

სანხოსელ ახალბედა მცველის ბრედ სტიუარტის, კარიერაში პირველმა დუბლმა აილენდერსს სამმატჩიანი მომგებიანი სერია შეაწყვეტინა.

დაბოლოს უქმეებზე მომხდარ ერთ ინციდენტზე, რომელსაც გუშინ ნჰლ-ის მესვეურთა შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. შაბათს, პიტსბურგისა და აილენდერსის თამაშზე მეტიუ ბარნაბი და ერიკ კეირნსი წაიჩხუბნენ. ისინი მოედნიდან გააძევეს, მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. გასახდელისკენ მიმავალმა აილენდერსელმა ჩხუბისთავმა, როგორც კი ბარნაბი დაინახა, კვლავ მუშტი-კრივი გაუმართა. „მან ერთი-ორი უხამსი სიტყვა მაკადრა და მიიღო კიდეც, მაგრამ ყველაფერი უკვე დავიწყებას მიეცა“ — თქვა კეირნსმა. თუმც ლიგის ვიცე-პრეზიდენტ კოლინ კემპბელს არაფერი ავიწყდება, ამიტომ ბარნაბიმ, როგორც ჩხუბის წამომწყებმა, ხუთმატჩიანი დისკვალფიკაცია მიილო, ხოლო აილენდერსელმა — ოთხიანი.

სამველ ლარიბიანი

## კვირის მოთამაშე

### იორგენ იუნსონი (აილენდერსი)



გასულ კვირაში, განსაკუთრებით უქმეებზე, ყველასთვის მოულოდნელად აილენდერსმა ერთობ დამაჯერებლად ითამაშა. ხუმრობაა? ერთ-ერთმა უიმედო აუტსაიდერმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა. დამარცხებულთაგან ორი — პიტსბურგი (5:1) და რეინჯერსი (4:2) გახლდათ, რომელთაც ახლა ქულები ჰაერივით სჭირდებათ. აილენდერსს ასეთ პრინციპულ დერბიში სტუმრად 1997 წლის შემდეგ აღარ მოუგია. ამით ნიუიორკელებს არაფერი ეშველათ. თუმცა გუნდის ქომაგთათვის სასიხარულო ის არის, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „აილენდერსს“ მომავალში კარგი, შესაძლოა ჩინებული, ტრიოს ჩამოყალიბება შეუძლია. ესენი კლუბის ერთ-ერთი ოლსტარელი მარიუშ ჩერკავსკი, ასევე ერთობ ნიჭიერი ჯესონ კროგი და ახალბედა შვედი იორგენ იუნსონია. ეს უკანასკნელი ბოლო მატჩებში შეუამხანაგდა პირველ ორს და ამან უმალვე ნაყოფი გამოიღო. 27 წლის სკანდინაველი, რომელიც მანამდე შვედეთში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლებოდა, მხოლოდ თავის გამორჩენისთვის არ ილვწოდა და უფრო პარტნიორებს ახარებდა. მაგრამ მისი ზედიზედ სამი სამქულიანი მატჩი შეუმჩნეველი არ დარჩა და საბოლოოდ 9 (1+8) ქულით და „+9“ ნაყოფიერების ჩინებული კოეფიციენტით ფორვარდს პირველი ნჰლ-ური აღიარებაც ხვდა წილად.

**საუკეთესო ექვსეული.** 7-13 თებერვალი

*დომინიკ ჰაშეკი* (ბუფალო, 1); *ერიკ დეჟარდენი* (ფილადელფია, 3) — *ბრაიან რაფალსკი* (ნიუ ჯერსი, 1); *მარიუშ ჩერკავსკი* (აილენდერსი, 1) — *იორგენ იუნსონი* (აილენდერსი, 1) — *იან ჰლავაჩი* (რეინჯერსი, 2)

რეგულარული ჩემპიონატი

# სახელის აღარავის ეშინია


REUTERS მინეაპოლისიდან

მინესოტა — დენვერი. მინესოტელი მალიკ სილი (მარცხნივ) ნიკ ვან ექსელისთვის ბურთის წართმევას ლამობს

15 იანვარი

**სიეტლი 114:85 ვაშინგტონი**

სიეტლი: პეიტონი (41), ბერი (3), პატერსონი (14), ბეიკერი (11), გრანტი (2); შ. ვილიამსი (12), მაკკოი (10), ლუისი (6), სტეფანია (5 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება), ფოსტერი (4), დევისი (3), პერსონი (3)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (7), რიჩმონდი (10), ჰოვარდი (12), მიურეი (16), ვაითი (6); ოსტინი (7), ა. ვილიამსი (8), ვითნი (12), ჰამილტონი (2), პროფიტი (3), ჯორდანი (2)

მადლობა ღმერთს, კრიზისი ზურგსუკანაა და ვლადიმერ სტეფანიას უკვე სტაბილურად ვხედავთ „სიეტლის" თამაშების ოქმში. ბლომად შეხვედრების გამოტოვების შემდეგ სუპერსონიქსის" ქართველმა ცენტრმა თავისი გუნდის ბოლო ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მწვრთნელებზე ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მართალია, მის თამაშში კვლავ და კვლავ შეიმჩნევა ხარვეზები, მაგრამ შეუცდომელი ხომ არავინაა. ვესტფოლი საკმაოდ დიდხანს ამყოფებს ქართველს მოედანზე და მისგან მოითხოვს, მეტი ყურადღებით მოეკიდოს დაცვაში თამაშს. სტეფანია აქ ხშირად ჯარიმდება ყოვლად უწყინარ სიტუაციაში. ჯარიმები ვოვამ ამ შეხვედრაშიც მიიღო, მაგრამ ზომიერად. ნათამაშევ ოც წუთში ოთხი პერსონალური შენიშვნა მაინცდამაინც ბევრი არაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისმა გუნდმა მეტოქე იოლად დაჩაგრა და ამდენად მატჩს აკლდა დაძაბულობა, რომლის დროსაც ერთიორად მეტია ჯარიმების მიღების ალბათობა. თუმცა სტეფანია მაინც მშვენივრად გაისარჯა ფარქვეშ: საკუთარ ფარზე ექვსი აცილებული ბურთიც მოხსნა და გარღვევაში შემოჭრილ ვაშინგტონელთა ერთ-ერთ უკანახაზელსაც დაუფარა. ჩვენებურს შეტევაშიც დასახვეწი აქვს თამაში, ერთობ ბევრ ბურთებს აცილებს, ახლაც ცხრა სროლიდან მხოლოდ ორი ჩააგდო, ოთხი საჯარიმოდან — ერთი. უკეთესად შეიძლებოდა თამაში და ალბათ არცთუ შორეულ მომავალში ასეც იქნება.

ვოვა სტეფანია და მისი გუნდი საკმაოდ წარმატებით მიიწევენ წინ. „ზებგერითები" ლამობენ, დაამტკიცონ, რომ წინა სეზონში ჩავარდნა მხოლოდ და მხოლოდ გადაღლილობის ბრალი იყო. მიმდინარე სეზონში „სონიქსს" ველარ იცნობთ. ხელმძღვანელებმა სეზონის წინ გუნდს ახალი სისხლი გადაუსხეს — შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავეს. ახლა პეიტონისა და ბეიკერის მხარდამხარ რიგიანად ილვწიან ახალგაზრდები — ბერი და პატერსონი. ის კი არა, სეზონის დაწყებამდე მწვრთნელ ვესტფოლს ძირითად ცენტრად ჩვენებური შეუგულებინა, მაგრამ ვოვა დიდხანს მოუნდა იქაურ კალათბურთთან გაჩვევას და მწვრთნელმაც ფარქვეშ ისევ ბებერი ჰორას გრანტი შეაშველა ვინ ბეიკერს.

თაობები იცვლებიან. ბევრი მიდის გუნდიდან, ბევრიც მოდის, მაგრამ „ზებგერითთა" მთავარ მამოძრავებელ ძალად მაინც ზემძლავრი გამთამაშებელი გერი პეიტონი რჩება. ეს ბოლო ორი წელია, ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე შეტევას მეტ ყურადღებას უთმობს, მაგრამ პეიტონს მაინც დაჯავშნული აქვს ადგილი ნბა-ს დაცვის ხუთეულში. ამ თამაშში ოლსტარ ნათამაშევმა გერიმ უარი თქვა დაცვაზე და მთლიანად შეტევაში გადაერთო. შავი დღეც აყარა შორეული დედაქალაქ ვაშინგტონიდან ვაშინგტონის შტატში ნასტუმრებ მაიკლ ჯორდანს „ვიზარდსს". სიეტლელს კარგად ახსოვს 1996 წელი, როცა პლეი ოფის ფინალში გასულ მის „სუპერსონიქსს" ჩემპიონობა სწორედ მაიკლ ჯორდანმა და მისმა „ხარებმა" ააცალეს. ახლა პეიტონმა ერთგვარად ჯავრიც იყარა მის ჰაერის უდიდებულესობაზე, „ვაშინგტონს" ერთბაშად 41 ქულა ჩაუგდო და სამი ქულით გააუმჯობესა თავისი კარიერის რეკორდი. „სიეტლმა" ხომ მთლად დაივიწყა სტუმარმასპინძლობის წესი და დედაქალაქელებს საშინლად გადაუარა. ერთობ ღელავდა გუნდის პრეზიდენტი მაიკლ ჯორდანი, სირცხვილით იწვოდა. დიადი მაიკლი იქნებ გულში კიდეც ფიქრობდა, რა მრჯიდა, ეს რა საშინელებაში შემოვყავი თავიო. როგორც ჩანს, ვერც ჯორდანის პრეზიდენტობამ უშველა „ვიზარდსს". იგი კვლავ რჩება გუნდად, რომელსაც ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ მაინც უსუსურია. ჯერჯერობით არც ახალი მწვრთნელისგან, დარელ უოლკერისგან ჩანს ხეირი. მან გუნდს მხოლოდ ერთხელ მოაგებინა და ახლა ზედიზედ მეოთხედ და ასე სამარცხვინოდ წააგეს მის ხელში „ჯადოქრებმა". ახლა უოლკერი იმედიანად შესცქერის მომავალ თამაშს „ვანკუვერთან". ვინძლო, ამ დასავლელ აუტსაიდერს მაინც მოუგოს.

**საკრამენტო 108:117 ფინიქსი**

საკრამენტო: ვებერი (27)

ფინიქსი: როჯერსი (36), გულიოტა (18)

**გოლდენ სტეიტი 83:92 პორტლენდი**

გოლდენ სტეიტი: მარშალი (23 ქულა, 17 მოხსნა)

პორტლენდი: საბონისი (21 ქულა, 16 მოხსნა)

**იუტა 99:101 ბოსტონი**

იუტა: მელოუნი (32)

ბოსტონი: ანდერსონი (33), პირსი (20)

**ჰიუსტონი 107:102 დეტროიტი**

ჰიუსტონი: ანდერსონი (25), მობლი (21)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (29 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

**დალასი 99:112 მილუოკი**

დალასი: ბრედლი (20), ფინლი (19)

მილუოკი: რობინსონი (29 ქულა, 11 მოხსნა), კასელი (28 ქულა, 13 პასი), ალენი (27)

**მინესოტა 104:107 დენვერი**

(ძირითადი დრო 100:100)

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

დენვერი: ვან ექსელი (25), მაკდაიესი (23)

**ჩიკაგო 76:88 ლეიკერსი**

ჩიკაგო: არტესტი (16)

ლეიკერსი: ონილი (29 ქულა, 20 მოხსნა), ბრაიანტი (21)

**მაიამი 107:88 კლიპერსი**

მაიმი: მაშბურნი (26), მურნინგი (20 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება)

კლიპერსი: მერდოკი (15)

**კლივლენდი 92: 81 სან ანტონიო**

კლივლენდი: მიურეი (27 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (20)

სან ანტონიო: დანკანი (21), რობინსონი (20 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა 103:86 ნიუ ჯერსი**

ატლანტა: მუტომბო (21 ქულა, 13 მოხსნა, 11 დაფარება), ჰენდერსონი (21 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: მარბერი (27)

**ტორონტო 91:70 ნიუ იორკი**

ტორონტო: კარტერი (29)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (17)

**ფილადელფია 93:95 შარლოტი**

ფილადელფია: აივერსონი (28)

შარლოტი: ჯონსი (27 ქულა, 5 ჩაჭრა)

ნაოლსტარევს ლიგამ და კალათბურთის გულშემატკივრობამ ერთი დღე დაისვენეს. თვითონ გუნდებს კი, თუ „ოლ სტარზე" მივლენილ ვარსკვლავებს არ ჩავთვლით, ოთხდღიანი დასვენება გამოუვიდათ. 15 თებერვალს თამაშები განაახლდა და რეგულარული ჩემპიონატის მეორე ნახევარიც დაიწყო. 13 წყვილი გამეტებით დაეტაკა ერთმანეთს. ზოგიერთმა იოლად მოიგო, ბევრმაც ასევე წააგო. იყო დამატებითი დრო და ისე როგორ იქნებოდა, მოულოდნელობები არ მომხდარიყო. დამარცხდა ორი შუადასავლეთდივიზიონელი ბობოლა — „იუტა ჯაზი" და „სან ანტონიო სფურზი".

ამ სეზონში „იუტას" ველარ იცნობთ. „ჯაზმა" ერთგული გულშემატკივარი შინ მარცხებს მიაჩვია. ერთხელ სულაც ზედიზედ ექვსი თამაში წააგო, მაგრამ იმის მერე საქმე თითქოს გამოსწორდა და აი, კვლავ შინაური მარცხი არცთუ ძლიერ „ბოსტონთან". „იუტას" ბებერი ლიდერები — კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი ამ მარცხს კვირას გამართულ „ოლ სტარს" ვერ მიაწერენ, ვერ იტყვიან, დავიქანცეთო. „ოლ სტარში" ორივეს ერთად — სტოქტონს და მელოუნს — ათი წუთი არ უთამაშიათ. ცხადია, არც ეტყობოდათ დაღლილობა, პირიქით მელოუნმა აჯობა კიდეც მეურვე ანტუან უოლკერს (19 ქულა). სამაგიეროდ, „ბოსტონის" გამთამაშებელმა კენი ანდერსონმა საშინლად დაჩაგრა ლეგენდარული მეპასე ჯონ სტოქტონი, რომელსაც აშკარად სიბერე მორევია. ხუმრობა ხომ არაა, 37 წლისა მოყრილა და მეთექვსმეტე სეზონს ატარებს ნბა-ში. ანდერსონმა სეზონში ყველაზე მეტი ქულაც მოაგროვა და მასპინძლების ძლევაში ლომის წილიც დაიდო. „სელტიქსს" ძალიან გამოადგა მისი 19 ქულა ბოლო მეოთხედში, ბოლო ოც წამში მისი ოთხი საჯარიმო ხომ პირდაპირ მისწრება იყო. ამ საჯარიმოების სროლის უფლება ანდერსონმა თვით სტოქტონთან ბრძოლისას მოიპოვა და კიდეც შეარცხვინა მასპინძელი გუნდი საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ. ეს მაშინ, როცა „ბოსტონს" 1991 წლის აქეთ ვერ მოეგო „იუტასთვის" ვერც შინ და ვერც გარეთ. არადა, ამის შესაძლებლობა 14-ჯერ მიეცა. ბოლოს „ბოსტონმა" „იუტას" რომ აჯობა, კენი ანდერსონი მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა ნბა-ში, მატჩის კიდევ ერთი გმირი, 20 ქულის ჩამგდები პოლ პირსი კი სულაც სკოლაში სწავლობდა.

„სან ანტონიოს" ჰყავს 90-იანი წლების ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი დევიდ რობინსონი და ჰყავს ბევრის აზრით დღესდღეობით ნბა-ს უძლიერესი მოთამაშე ტიმ დანკანი, რომელმაც „სფურზს" შარშან ჩემპიონობა მოუტანა, მაგრამ მაინც წააგო კლივლენდში იქაურ „კავალიერზთან". ჩემპიონთა ნაოლსტარევი ლიდერები — რობინსონი და დანკანი იმედოვნებდნენ, „კლივლენდს" სახელით დავაფრთხობთო. დანკანს მაინცდამაინც თავი არ გამოუდვია. ორი დღის წინ იგი „ოლ სტარის" მატჩის უძვირფასესი მოთამაშე გახდა და ალბათ კვლავ იმ შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფს თამაში არ წაუვიდა. ბოლო ხანებში ფორმიდან ამოვარდნილი კლივლენდელთა თავდამსხმელი შონ კემპი კარგად ეჭიდავა დანკანს და თუ არ აჯობა, არც ბევრით ჩამორჩა. მასპინძელთაგან ხელი გამოილო ფრთა ლემონდ მიურეიმ. ამ ამპლუაში ჩემპიონებს რიგიანი არავინ ჰყავთ და შავად წაუვიდათ საქმე. შეწუხდა „სან ანტონიოს" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი. თუ ასე ვითამაშეთ, ფინალში გასვლა კი არა, ვეჭვობ, პლეი ოფის ორი საფეხური გადავლახოთო.

„ატლანტას" ზაირელ ცენტრ დიკემბე მუტომბოს „ოლ სტარზე" თავი ბევრი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ 15 თებერვალს უცენტრო „ნიუ ჯერსი" მოიხელთა და ჯავრიც მასზე იყარა — 21 ქულას და 13 მოხსნას 11 დაფარება (!) მიაყოლა და იშვიათი სამმაგი დუბლის ავტორიც შეიქმნა.

ასევე აღმოსავლელთა ცენტრი „ოლ სტარში", მაიამელი ალონზო მურნინგი რა ბიჭი იქნებოდა, მუტომბოს ჩამრჩენოდა. მანაც ბევრი უფარა ძაბუნ მეტოქეს, თუმც სამმაგ დუბლამდე მაინც ორი დაფარება დააკლდა.

სულ ცოტაც და დასავლელთა გამთამაშებელი ჯეისონ კიდიც მიაღწევდა სამმაგ დუბლს. ფინიქსელმა კიდმა „საკრამენტოსთან" ჭიდილში 11 პასი და 10 მოხსნა მოაგროვა, მაგრამ ათ ქულას ვერ მოუყარა თავი. სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა როდნი როჯერსმა 36 ქულით კარიერის რეკორდიც დაიმყარა და „საკრამენტოსაც" მან მოუღო ბოლო.

დასავლეთში თანდათან იკვეთება საპლეიოფოდ გამზადებული რვა გუნდი და მათ მხოლოდ ერთი კონკურენტი — „დენვერი" შემორჩენია, რომელიც ძალ-ღონეს არ ზოგავს, ამ რვა გუნდში შეაღწიოს. ახლა იგი მოცილე „მინესოტას" ესტუმრა და ოვერტაიმში ძლივს მოუგო. ივაჟკაცა სტუმართა გამთამაშებელმა ნიკ ვან ექსელმა, რომელმაც ბოლო მეოთხედის ბოლო წამებზე სამქულიანი ჩაუგდო „ტიმბერვულვზს" და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. იქ კი ერთი სამიანი შეაგება კევინ გარნეტს და მის ბიჭებს.

**ირაკლი ფირაშვილი**


REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ბოსტონი. გრეგ ოსტერტაგმა (№39) ბოსტონელ ტონი ბეტის ჩატენვაში ხელი ვერ შეუშალა

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ირაკლი ჯაფარიძეს ლაქუცი კი არა, თამაში უნდა



ირაკლი ჯაფარიძე

სულ რამდენიმე თვეა, რაც პორტუგალიური „ეინაზიო" ქართველთა საქომაგო გუნდად იქცა. მიზეზი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ცენტრი, ირაკლი ჯაფარიძეა, რომელმაც სეზონის წინ სწორედ ამ პორტუგალიურ კლუბს დაუკავშირა კარიერა.

„ეინაზიო" კი აშკარად ვერ გვიმართლებს იმედს. ჩვენებურის გუნდი იქაურ ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზეა და ისეთი პირი უჩანს, რომ წინაც ვერ წაიწევს.

სტიმული დაჰკარგვია „ეინაზიოს", დარჩენილი თამაშები კლუბისთვის ფორმალობად იქცა. ყოველივეს ჯაფარიძეც ძალიან განიცდის, დრო გადის, მისი გუნდი კი თამაშს თამაშზე აგებს.

დროებითი ჩავარდნაა და ყველაფერი გამოსწორდებაო, ამბობდა ირაკლი ჩვენი ბოლო საუბრისას, ახლა კი...

— თერთმეტი თუ თორმეტი თამაში ერთი და იმავე სცენარით წავაგეთ. თავიდან სულ ვიგებთ, თითქოს ყველაფერი კარგადაა და ბოლო წუთებზე ვმარცხდებით. ეგ რომ არა, სადღეისოდ სამეულში ვიქნებოდით.

**— იღბალს უჩივით თუ...**

— იღბალი არაფერ შუაშია, მწვრთნელი არ გვივარგა. სხვა კალათბურთელებიც ამ აზრზე არიან, მაგრამ...

**— გუნდის ხელმძღვანელობა რას ფიქრობს?**

— ყველაზე გასაკვირი სწორედ ის არის, რომ აზრადაც არ მოსვლიათ მწვრთნელის შეცვლა. არადა, რა დიდი მარჩიელობა ამას უნდა, ორ წუთში აგებს თამაშებს. პიროვნებაც რაღაცნაირია, ვერ ვუგებ, პირში ყველას ელაქუცება, ზურგს უკან კი სულ სხვას ლაპარაკობს. საქმის მცოდნე მაინც იყოს, გაგებაში არაა, ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ვფიქრობ.

**— თამაში ხშირად გიწევთ?**

— როგორ გითხრათ, ხან ისეა, ხან ასე. ერთი პერიოდი თითქმის შეუცვლელად მათამაშებდა მწვრთნელი, ბოლო ორ შეხვედრაში საშუალოდ ათი წუთით მიწევს მოედანზე ყოფნა, ისეც ყოფილა, რომ საერთოდ არ შეუყვანივარ. ხომ გეუბნებით, სხვანაირი კაცია ორლანდო სიმონესი, თავადაც არ იცის, რა უნდა.

**— მაშ, რას აპირებთ? როგორც ჩანს, გაძლებაზე ხართ...**

— ამ მწვრთნელთან მუშაობის არანაირი სურვილი არ მაქვს. უახლოეს მომავალში პირადად დაველაპარაკები და ვთხოვ, ყველაფერში გამარკვიოს. მინდა, გავიგო რა აზრისაა ჩემზე — ვჭირდები, არ ვჭირდები. ერთი სიტყვით, ბევრი გვაქვს სასაუბრო.

**— საქმე რომ გაგიფუჭდეთ?**

— ეგ არ მანაღვლებს. გამიგებს, ხომ კარგი, თუ არადა სხვა გზას მოვძებნი.

**— უკეთესი ვარიანტი გამოგიჩნდათ?**

— მაისისთვის ყველაფერი ზუსტად მეცოდინება. ჩემი ბულგარელი აგენტი, ნიკოლაი ტენევი მპირდება რაღაც-რაღაცეებს, უკლუბოდ არ დარჩებიო, მაიმედებს.

**— პორტუგალიური კლუბებიდან არ მიგიღიათ შემოთავაზება?**

— აქაურობაზე ლაპარაკიც არ არის, როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბი სერიოზულად დაინტერესდა ჩემით. კონკრეტულად ჯერ არავის მოუმართავს, ვფიქრობ, სეზონის დამთავრებას უცდიან.

**— როდის მთავრდება ჩემპიონატი?**

— ჩემი გუნდისთვის, შეიძლება ითქვას, დამთავრებულია. წესით ექვსი თამაში დაგვრჩა, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. პლეი ოფში ველარ მოვხვდებით, უმაღლესი ლიგიდან გავარდნაც არ გვემუქრება, მხოლოდ ერთი გუნდი ტოვებს ლიგას. სულ რომ წავაგოთ, მაინც ვერ გაგვისწრებს ბოლოადგილოსანი. ფინალი როდის იქნება, ზუსტად ვერ გეტყვით, მე კი, ალბათ, მარტის პირველ რიცხვებში გავთავისუფლდები.

**— „ეინაზიოს" თქვენთვის კონტრაქტის გაგრძელება არ შემოუთავაზებია?**

— დარჩენაზე ჩამომიგდეს სიტყვა, მაგრამ პასუხი ჯერ არ მითქვამს. არ მინდა, ავჩქარდე.

**— მწვრთნელის გარდა რაიმე სხვაც ხომ არ...**

— არანაირი პრობლემა არ მაწუხებს. რასაც დამპირდნენ, ყველაფერს მისრულებენ, ამ მხრივ არაფერი მაქვს საწუწუნო. ვარჯიშებით კმაყოფილი ვარ, ჩემზეა დამოკიდებული, მთავარია, საქმეს როგორ მივუდგები. თანაგუნდელებთანაც კარგ დამოკიდებულებაში ვარ, თითქმის ყველასთან ვმეგობრობ ერთი-ორის გარდა. ერთი ეგაა, მწვრთნელს ვერ შევეწყვე, ახირებული ხასიათის კაცია, თანაც, ვფიქრობ, იმდენს არ მათამაშებს, რასაც ვიმსახურებ.

**— მარტის დასაწყისში გავთავისუფლდებიო, თქვით. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩამოხვალთ და რომელიმე ქართულ კლუბს პლეი ოფის თამაშებზე შეეშველებით?**

— გამორიცხული არაფერია, შეიძლება ასეც მოხდეს. თუ ასე იქნება პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მშობლიურ გუნდს, „აზოტს" დავემატები.

**— რუსთაველებთან წინასწარ არ შეთანხმებულხართ?**

— ეს შეუძლებელი იყო, „ეინაზიო" პლეი ოფში რომ გასულიყო, სულ ცოტა, მაისამდე ვერ ჩამოვიდოდი.

**— ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოთამაშის დამატების ბოლო ვადად ფედერაციამ ოცდარვა თებერვალი დათქვა. მაგ დროისთვის მოესწრება თქვენი ჩამოსვლა?**

— მთავარია, კლუბისგან განთავისუფლების ფურცელი მივიღო და ოფიციალური მხარე უჩემოდაც მოგვარდება. თებერვლის ბოლოს იქნებ ვერ ჩამოვიდე, მაგრამ ნახევარფინალისთვის, ვფიქრობ, საქართველოში ვიქნები. ხელი თუ არ შემეშალა, ალბათ „აზოტში" დავასრულებ ამ სეზონს. ძალიან მინდა, ამ გუნდთან ერთად ჩემპიონი რომ გავხდე, ვნახოთ...

გიორგი გიკაშვილი

# ჯორჯევიჩმა რივალდოს აჯობა



STING

ალექსანდრ ჯორჯევიჩი

1999 წელს „ბარსელონას" ნახევარმცველი რივალდო ვერავინ დაამარცხა. ფეხბურთის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა შესაშური დამაჯერებლობით მოიგო ყველა სახის და ხასიათის გამოკითხვა და ევროპასა თუ მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაიგდო.

სამშაბათს რივალდო ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, კიდევ ერთი ჯილდო მიემატა მის მდიდარ კოლექციას. რჩებოდა კიდევ ერთი გამოკითხვა, რომლის მოგებაშიც რივალდო, ალბათ, დარწმუნებული იყო, მაგრამ...

ესპანეთის 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენად კალათბურთელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი დაასახელეს. იუგოსლაველი გამთამაშებელი ამჟამად მადრიდის „რეალშია" და მისი ლიდერიც გახლავთ. შარშანდელ სექტემბრამდე კი ჯორჯევიჩი რივალდოს თანაკლუბელი იყო — საკალათბურთო „ბარსელონაში" თამაშობდა. შარშან „ბარსა" ესპანეთის ჩემპიონი გახდა და კორაჩის თასი მოიპოვა. ჯორჯევიჩის აღიარებაც სწორედ ამ ფაქტებს უკავშირდება.

ერთი სიტყვით, ის რაც ვერ შესძლეს დევიდ ბექემმა, ანდრეი შევჩენკომ და გაბრიელ ბატისტუტამ, მოახერხა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა: რივალდოს ერთ-ერთ გამოკითხვაში აჯობა.

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 16 თებერვალი

| E ჯგუფი | G ჯგუფი | H ჯგუფი |
|---|---|---|
| ბენეტონი 66:77 თოფაში | ოლიმპიაკოსი 77:73 პო ორტეზი | ფორტიტუდო 91:82 ვარეზე |

## საპორტას თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. 15-16 თებერვალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

***კინდერი (იტალია)*** — ტატამი (გერმანია) 83:53 (57:62)

კინდერი: აბიო (2), დ. ანდერსენი (16), მ. ანდერსენი (1), ანსალონი (2), ბარლერა, დანილოვიჩი (15), ფროზინი (9), რიგოდო (15), სკონოჩინი (2), შტომბერგასი (21)

ტატამი: კოლიერი (14), დიპენზაიფენი, ფრიში (1), გრეი, გუარასკი (7), კელეჩევიჩი (20), ლუტკე, ნიურნბერგერი (4), როლერი (7), ვუდალი

***აეკ (საბერძნეთი)*** — ტაუ (ესპანეთი) 85:65 (71:67)

აეკ: ბოუი (10), ხაცისი (8), ჰანსელი (9), კაკიუზისი (12), კორონიოსი (16), მიუურსეპი (13), დიკუდისი (6), ოსალივანი (2), ცაკალიდისი (9)

ტაუ: ბენეტი (6), ესპილი (12), ესტელერი (10), ფუარე (4), მილზი (10), მორალესი (3), ობერტო (16), როდრიგესი (4)

ადეკო (იტალია) — ***ცეპტერი (პოლონეთი)*** 64:62 (57:75)

ადეკო: ანტუნესი (5), ბალდი (10), გიძი (4), მაპელი (3), მიკელორი (8), პორტალუპი (20), რიჩარდსონი (14), საგიასი

ცეპტერი: გრეგოვი, კოსციუკი (5), მაკნაული (5), ობენონი (14), შტელმახერსი (11), შიბილსკი (2), ვილჩეკი, ვოიჩიკი (19), ზიელინსკი (6)

***პამესა (ესპანეთი)*** — შალონ-საონი (საფრანგეთი) 71:36 (75:83)

პამესა: გარსია (2), გრასია (2), ალვარესი (10), ბერდი (12), ბურხოსი (4), ჰოპკინსი (8), ლუენგო (12), მალუენდა (17), როდილია (4)

შალონ-საონი: ბეინა (1), დიუბიე (2), გეტლინი (3), გიფა (5), ჰეი, მელისი (2), ნებო (6), ოსტროვსკი (10), ოუენსი (5), რობინსონი (2)

***ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)*** — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 66:70 (91:79)

ლიეტუვოს რიტასი: აიდიეტისი (7), ელიოტი (9), გედრაიტისი (18), კაზლაუსკასი, მასიაუსკასი (5), ოკუნსკი (11), შიშკაუსკასი (16)

ჰაპოელი: არაპოვიჩი (8), კოენი, ჰამილტონი (22), ა. კაცი (2), ჟ. კაცი, ლექსერი, თურჯემანი (17), ვალდმანი, ვილიამსი (21)

***ირაკლისი (საბერძნეთი)*** — სპლიტი (ხორვატია) 79:66 (71:63)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (16), დიამანტიდისი (4), დინკინსი (19), ელისი (13), ჰუპმანი (4), ჯონსონი (16), მარკოპულოსი, ნაჰარი (2), პაპადოპულოსი (2), საუერი (3)

სპლიტი: ბადჟიმი (6), ჰენიაკი (2), ლოვრიჩი, პოლიაკი (14), სუბოტიჩი (4), ტომელიაკი (2), ტვრდიჩი (22), ვუიჩიჩი (10), ჟიჟიჩი (6)

დარუშაფაკა (თურქეთი) — ***პორტუ (პორტუგალია)*** 49:54 (78:81)

დარუშაფაკა: მ. კაჰიაოღლუ (4), გრინი (8), გიულერი (13), ანსლი (12), ნოსოვი (9), ო. კაჰიაოღლუ, ერთაში, ქანანი, ქოშედაგი (3), ქოსეოღლუ

პორტუ: პერდიგაო (8), პინტუ (5), როჩა, გრანტი (24), მილერი (14), პედრერა (3)

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — ***ზადარი (ხორვატია)*** 72:67 (57:76)

პარი სენ ჟერმენი: ასჩერიჩი (8), ჰარისი (9), ჰოვარდი (17), ჟულიენი (13), კინგი (18), პარკერი (2), სკიარა (5)

ზადარი: კომაზეცი (9), კრუნიჩი, პერინჩიჩი (5), რაჯა (22), ი. რუჟიჩი (22), ტ. რუჟიჩი (2), სტიუარტი (7)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

### მეოთხედფინალი. 29 თებერვალი - 7 მარტი

აეკ (საბერძნეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი)

კინდერი (იტალია) — პამესა (ესპანეთი)

ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — პორტუ (პორტუგალია)

ცეპტერი (პოლონეთი) — ზადარი (ხორვატია)



AFP

პამესა — შალონ-საონი 71:36. მაიკლ ჰეი (ბურთით) პამესელ ხოსე ლუის მალუენდას აუხტა

# XX საუკუნის ფოტომატიანე №2




1968 წლის 18 ოქტომბერს, მეხიკოს ოლიმპიადის სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრის ფინალში კაცი გაფრინდა.

ამერიკელი ბობი ბიმონი, რომელიც 8,16 მეტრის დაძლევით გაძვრა ფინალში, ნიშნულს მოსწყდა და სადღაც ძალიან შორს დაეშვა ქვიშაში.

ამ დროს მსოფლიო რეკორდი ეპყრათ ამერიკელსვე რალფ ბოსტონს და საბჭოელ იგორ ტეროვანესიანს. მათ დაეძლიათ 8 მეტრი და 35 სანტიმეტრი.

იმ დროისთვის უახლესმა აპარატურამ და ავტორიტეტულმა მსაჯებმა სენსაციური ციფრები აღბეჭდეს ტაბლოზე — 8 მეტრი და 90 სანტიმეტრი! ანუ 55 სანტიმეტრით მეტი, ვიდრე არსებული მსოფლიო რეკორდი!

„მითხარით, მესიზმრება თუ ნაღდია?!" იკითხა ბობი ბიმონმა.

ეს იყო ფინალური შეჯიბრის პირველი ცდა, პირველი ნახტომი.

შედეგმა აზრი დაუკარგა შეჯიბრს. 8,19-ს ვერცერთი მონაწილე ვერ გასცდა. ბობი ოლიმპიური ჩემპიონი და რეკორდსმენი შეიქნა.

ბიმონი გაფრინდა და ჩხრეკაც დაიწყეს — რა მიზეზია, რომ კაცი ამსიშორეს გადახტაო.

აღნიშნეს, რომ იმ წელიწადს ბიმონი ბრწყინვალე ფორმაში იყო და წინასწარ ვარჯიშებზე 8,33 მეტრიც დაუძლევია, ზურგქარით კი ექვსი სანტიმეტრით მეტი.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. გაიხსენეს, რომ მეხიკოს ოლიმპიადაზე პირველად გამოიყენეს სინთეტიკური სარბენი ბილიკები, რომ ბიმონს ზურგქარი ეხმარებოდა (თუმცა დასაშვები სიჩქარისა), რომ მეხიკო ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარეობს და მის ჰაერს თავისებური იშვიათობა ახასიათებს.

მაგრამ განა ეს ყველაფერი სხვებისთვისაც არ იყო?

ერთი ამერიკელი მათემატიკისა და სტატისტიკის პროფესორი კარგახანს აჯამებდა და ითვლიდა ბიმონის დამხმარე ფაქტორებს და ბოლოს დაასკვნა, რომ გარეშე ძალები მხოლოდ ოთხი პროცენტით დაეხმარენ ამ ბიჭს. ანუ რომ არ ყოფილიყო ქარი, მეხიკო და ხელოვნური საფარი, ბიმონი 8 მეტრსა და 56 სანტიმეტრს მაინც დაძლევდა. ეს კი 21 სანტიმეტრით მეტი იქნებოდა მსოფლიო რეკორდზე.

ბობი ბიმონი კი ადგა და გაფრინდა, ქარით, უქაროდ, ხელოვნურზე, ბუნებრივზე.

ოცდასამი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მძლეოსნები ცდილობდნენ... ნაბიჯ-ნაბიჯ, მილიმეტრ-მილიმეტრ და ბოლოს, როგორც იქნა...

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

ვულვზი 4:0 ტრანმერი

## გერმანია

თასის ნახევარფინალი

*ბაიერნი* 3:2 ჰანზა

## იტალია

თასის ნახევარფინალი

II მატჩები

ვენეცია 2:2 *ლაციო* (0:5)

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

II მატჩები

კომპოსტელა 1:0 *ესპანიოლი* (1:5)

*ბარსელონა* 2:0 ოსასუნა (4:0)

რაიო 2:2 *ატლეტიკო* (0:0)

## შოტლანდია

ლიგის თასის ნახევარფინალი

*სელტიკი* 1:0 კილმარნოკი

## ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი

უტრეხტი 0:1 *როდა*

*ნაიმეგენი* 2:0 დორდრეხტი

ვალვაიკი 0:1 *ვიტესი*

## საფრანგეთი

ნანსი 0:0 მეცი

მონაკო 1:0 ბორდო

1:0 რისე (84)

ოსერი 0:1 სტრასბური

0:1 ლუინდულა (2)

ლანსი 4:0 ბასტია

1:0, 2:0 შახო (4, 27), 3:0 ნუმა (69), 4:0 ბრუნელი (88)

სენტ ეტიენი 5:4 მონპელიე

0:1 ვალემი (10ს.კ.), 0:2 ლოკო (22), 1:2 პედრონი (26), 2:2 ალოიზიო (32ვ), 3:2 ალექსი (36), 4:2 კაროტი (43), 4:3 ლოკო (47), 4:4 პატაკა (51), 5:4 ალოიზიო (81)

ლე ავრი 2:0 ტრუა

1:0, 2:0 დენაუდი (20, 87)

სედანი 2:1 რენი

1:0 დი როკო (6), 1:1 დიატა (52), 2:1 პუარდი (59)

### მეორე დივიზიონი

27-ე ტური. ლილი — ნიორი 1:0; სოშო — ლე მანი 3:1; ლორიანი — კანი 1:1; ნიცა — აიაჩო 0:1; ნიმი — შატორუ 1:1; ლავალი — ლუანი 1:0; ამიენი — ვასკეალი 4:1; ვალანსი — კრეტეი 3:1

## თურქეთი

თასის ნახევარფინალი

*ანთალია* 2:0 ბურსა

ანკარაგიუჯიუ 0:2 *გალათასარაი*

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

ოლიმპიაკოსი 1:1 აეკ




REUTERS სიდნეიდან

# ანტიოლიმპიელნი

ოლიმპიადა კარს მიდგომია სიდნეის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც სამდღიან თათბირს მართავს ამ ქალაქში. ოლიმპიადა დიდებული ამბავია, მაგრამ მას სირთულეებიც მოაქვს. კერძოდ, უძრავი ქონების მფლობელები ქირას ზრდიან, პოლიციას საგანგებო უფლებები ენიჭება, ბონდი ბიჩზე კი ათიათასადგილიანი ფრენბურთის სტადიონის მშენებლობა წამოუწყიათ. ეს არ გვაწყობსო, აცხადებენ მომიტინგენი ოლიმპიური ოფისის კართან და ოლიმპიადის მოწინააღმდეგეთა კოალიციის შექმნას ამცნობენ საზოგადოებას.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



# კალიფორნიის ფეხბურთი

კალიფორნია ფეხბურთის მხარეა. აქ უკვე გვარიანი ჯიგრით მისდევენ თამაშს და მისით ტკბობას. ლოს ანჯელესის „როუზბოულზე" კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშება მიმდინარეობს. ამერიკის კონტინენტის მობურთალთა შორის ბოლო ხანს მეტად პოპულარული შეიქნა რავანელის ილეთი. ოღონდ, იქაურებმა შიდა მაისურაზე თავიანთი ოჯახობის ნორჩ წევრთა ფოტოების გადაყვანა იწყეს. გვატემალის ნაკრების კაპიტანს ხუან კარლოს პლატას ძალიან უხარია ტრინიდადელთა კარში გატანილი გოლი. ალბათ იმიტომაც, რომ საზოგადოებას თავისი ახალდაბადებულ ვაჟს წარუდგენს.

აქვე უნდა გავიხსენოთ „როუზბოულის" გმირი ქალებიც. ბრენდი ჩესტეინმა (მარცხნივ) რომ გადამწყვეტი პენალტი შეუგდო ჩინელებს და ამერიკის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონად აქცია, ამ ქვეყანაში ქალთა ფეხბურთის ნამდვილი ბუმი დაიწყო. ბრენდი და მისი თანაგუნდელები ჯულია ფოუდი (შუაში) და კარლა ოვერბეკი მალე პროფესიონალი ფეხბურთელები შეიქნებიან. მათი დიდი ტრიუმფიდან შვიდი თვის თავზე, იმავ კალიფორნიაში, პასადენაში გამოცხადდა, რომ იქმნება ქალთა ფეხბურთის ამერიკული ასოციაცია და პროფესიული ლიგა, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყებს თავის პირველ ჩემპიონატს.



# პატარა ჩემპიონი

*ძაღლთა დიდი ჩვენება-შეჯიბრი, ვესტმინსტერ შოუ აგერ უკვე ასოცდამეოთხედ გაიმართა ნიუ იორკში. ჩემპიონად და საუკეთესოდ ინგლისური სპანიელი შეიმლესი გამოცხადდა. თავად შეიმლესს, გასაგებ მიზეზთა გამო, ჟურნალისტებთან საუბარი არ შეუძლია, ამიტომ მისი გაამაყებული პატრონი, კელი ფიცჯერალდი აქტიურობს.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli